პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 48 (10442) | კვირა, 26 თებერვალი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ კრემლში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

საბოლოო სხდომაზე ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და აირჩია პარტიის ცენტრალური ორგანოები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

დადგენილება
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა
სკკპ წესდების ნაწილობრივ ცვლილებათა შესახებ

(მიღებულია ერთხმად 1956 წლის 24 თებერვალს)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა ადგენს შეტანილ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში შემდეგი ცვლილებანი:

1. დაწესდეს, რომ პარტიის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პლენუმები იმართება ოთხ თვეში ერთხელ მაინც, ხოლო საოკრუგო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პლენუმები — სამ თვეში ერთხელ მაინც.

2. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სურვილის შესაბამისად დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობები, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქების საქალაქო პარტიული კონფერენციები უნდა გაიმართოს ორ წელიწადში ერთხელ. იმ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები, რომლებსაც საოლქო დაყოფა აქვთ (უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი), შეიძლება გაიმართოს ოთხ წელიწადში ერთხელ.

3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების 35-ე პარაგრაფში ამოიშალოს „გ“ პუნქტი.

4. ადგილობრივი პარტიული ორგანოების უფლებათა გაფართოების მიზნით ჩაითვალოს, რომ პარტიული კომიტეტები დიდ საწარმოებსა და დაწესებულებებში, რომლებშიც 300-ზე მეტი კომუნისტია, შეიძლება შეიქმნას საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების გადაწყვეტილებით.

5. მიზანშეუწონლად ჩაითვალოს, რომ კვლავ დარჩეს პარტიის წესდებაში მითითება პარტიულნი კომიტეტების მდივნების რაოდენობის შესახებ, რადგან მათი რიცხვი შეიძლება იცვლებოდეს მუშაობის კონკრეტული პირობების მიხედვით. დაწესდეს, რომ პარტიული კომიტეტების მდივნების რაოდენობას განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

6. იმ ამოცანის შესაბამისად, რომ გაძლიერდეს საწარმოთა საამქროების, ბრიგადებისა და უბნების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტორგანიზაციათა გავლენა, დაწესდეს, რომ საამქროთა პარტორგანიზაციები შეიძლება შეიქმნას რაიკომების, საქალაქო კომიტეტებისა ან შესაბამის პოლიტგანყოფილებათა გადაწყვეტილებით პირველადს პარტორგანიზაციებში, რომლებშიც 50-ზე მეტი კომუნისტია.

7. ამოიშალოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების 64-ე პარაგრაფში ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებათა მოხსენიება.

დადგენილება
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა
ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“

(მიღებულია ერთხმად 1956 წლის 24 თებერვალს)

1. მიღებულ იქნას საფუძვლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემოტანილი პროექტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

2. დირექტივების პროექტის შესწორებათა და დამატებათა განსახილველად არჩეულ იქნას ყრილობის კომისია.

★ ★ ★

XX ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესწორებათა და დამატებათა განსახილველად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნ. ა. ბულგანინი (თავმჯდომარე)	ა. ნ. ზადემიდკო	ვ. ა. მალიშევი	ლ. ნ. სოლოვიოვი
ა. ბ. არისტოვი	ა. გ. ზვერევი	ტ. ს. მალცევი	ა. სუერკულოვი
ნ. კ. ბაიბაკოვი	ლ. მ. კაგანოვიჩი	ვ. ვ. მაცკევიჩი	მ. ა. სუსლოვი
ნ. ი. ბელიაევი	ნ. ტ. კალჩენკო	ა. ი. მიქოიანი	ი. თ. თევოსიანი
ი. ა. ბენედიქტოვი	ს. კამალოვი	ნ. ა. მიხაილოვი	ს. მ. ტიხომიროვი
ბ. პ. ბეშჩევი	ა. ი. კირიჩენკო	ვ. მ. მოლოტოვი	ტ. ულჯაბაევი
ნ. ი. ბობროვნიკოვი	მ. დ. კოვრიგინა	ა. ა. მიურისეპი	გ. ს. ხლამოვი
კ. ე. ვოროშილოვი	ა. ნ. კოსიგინი	ვ. პ. მილარშჩიკოვი	მ. ვ. ხრუნიჩევი
გ. დ. ჯავახიშვილი	ა. ე. ქოჩინიანი	პ. ვ. ნიკიტინი	ნ. ს. ხრუშჩოვი
პ. ე. დოროშენკო	დ. ა. კუნაევი	ბ. ოვეზოვი	ვ. ე. ჩერნიშევი
პ. ვ. დემენტიევი	ვ. ა. კუჩერენკო	კ. პ. ორლოვსკი	ნ. მ. შვერნიკი
მ. ა. ევსეენკო	ნ. ვ. ლაპტევი	მ. გ. პერვუხინი	ა. ნ. შელეპინი
ვ. პ. ელიუტინი	ვ. ტ. ლაცისი	პ. ს. პროკონენი	დ. ტ. შეპილოვი
მ. ტ. ეფრემოვი	პ. პ. ლობანოვი	ს. გ. რაგიმოვი	ა. გ. შერემეტიევი
დ. გ. უმერინი	პ. თ. ლომაკო	გ. ი. რუდი	მ. ი. შუმაუსკასი
ა. პ. ზავენიაგინი	კ. ტ. მაზუროვი	ა. პ. რუდაკოვი	მ. ა. იასნოვი
	გ. მ. მალენკოვი	მ. ზ. საბუროვი	

დადგენილება
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის მომზადების შესახებ

(მიღებულია ერთხმად 1956 წლის 25 თებერვალს)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მოამზადოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი, დაეყრდნოს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითად დებულებებს, თეორიისა, რომელიც შემოქმედებითად ვითარდება ჩვენი პარტიის ისტორიული გამოცდილების, სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიების გამოცდილების, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოცდილებისა და მიღწევების საფუძველზე, აგრეთვე გაითვალისწინოს კომუნისტური მშენებლობის, საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების პერსპექტიული გეგმა, რომელიც მზადდება.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს პარტიის პროგრამის პროექტი წინასწარ გამოაქვეყნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამდე, რათა მოეწყოს მისი ფართოდ განხილვა.

პარტიის XX ყრილობის მიერ არჩეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები

1. ავხიმოვიჩი ნ. ე.	35. ეფრემოვი ლ. ნ.	68. ლატუნოვი ი. ხ.	101. პუზანოვი ა. მ.
2. ალფეროვი პ. ნ.	36. უეგალინი ი. კ.	69. ლებედევი ბ. კ.	102. პისინი კ. გ.
3. ანდრეევი ა. ა.	37. ეუკოვი გ. კ.	70. ლუბენიკოვი ლ. ი.	103. რაგიმოვი ს. გ.
4. არისტოვი ა. ბ.	38. ზავენიაგინი ა. პ.	71. მაზუროვი კ. ტ.	104. რაზაკოვი ი. რ.
5. ბაბაევი ს.	39. ზადემიდკო ა. ნ.	72. მალენკოვი გ. მ.	105. რუმიანცევი ა. მ.
6. ბაიბაკოვი ნ. კ.	40. ზვერევი ა. გ.	73. მალინოვსკი რ. ი.	106. საბუროვი მ. ზ.
7. ბელიაევი ნ. ი.	41. იგნატოვი ნ. გ.	74. მალიშევი ვ. ა.	107. სერდიუკი ზ. ტ.
8. ბენედიქტოვი ი. ა.	42. იგნატოვი ნ. ფ.	75. მარკოვი ვ. ს.	108. სეროვი ი. ა.
9. ბეშჩევი ბ. პ.	43. იგნატიევი ს. დ.	76. მარჩენკო ი. ტ.	109. სნეჩკუსი ა. ი.
10. ბობროვნიკოვი ნ. ი.	44. კაბანოვი ი. გ.	77. მაცკევიჩი ვ. ვ.	110. სოკოლოვსკი ვ. დ.
11. ბოიცოვი ი. პ.	45. კაგანოვიჩი ლ. მ.	78. მუავანაძე ვ. პ.	111. სტახურსკი მ. მ.
12. ბრეჟნევი ლ. ი.	46. კალნბერზინი ი. ე.	79. მიქოიანი ა. ი.	112. სტრუევი ა. ი.
13. ბრეჟნევი დ. დ.	47. კალჩენკო ნ. ტ.	80. მიტინი მ. ბ.	113. სუსლოვი ვ. მ.
14. ბულგანინი ნ. ა.	48. კაპიტონოვი ი. ვ.	81. მიხაილოვი ნ. ა.	114. სუსლოვი მ. ა.
15. ვანიკოვი ბ. ლ.	49. კირილენკო ა. პ.	82. მოლოტოვი ვ. მ.	115. თევოსიანი ი. თ.
16. ვასილევსკი ა. მ.	50. კირიჩენკო ა. ი.	83. მოსკვინი ვ. ა.	116. ტიტოვი ვ. ნ.
17. ვოლკოვი ა. პ.	51. კისელიოვი ნ. ვ.	84. მოსკალენკო კ. ს.	117. ტიტოვი ფ. ე.
18. ვოროშილოვი კ. ე.	52. კლიმენკო ვ. კ.	85. მურატოვი ზ. ი.	118. ტიხომიროვი ს. მ.
19. ვორონოვი გ. ი.	53. კობელევი ბ. ნ.	86. მუსტაფაევი ი. დ.	119. თოვმასიანი ხ. ა.
20. გაევოი ა. ი.	54. კოვრიგინა მ. დ.	87. მუხიტდინოვი ნ. ა.	120. უსტინოვი დ. ფ.
21. გაფუროვი ბ.	55. კოზლოვი ფ. რ.	88. ნასრიდინოვა ი. ს.	121. ფურცევა ე. ა.
22. გორიაჩევი ფ. ს.	56. კოლუშჩინსკი ე. პ.	89. ორგანოვი ნ. ნ.	122. ხვოროსტუხინი ა. ი.
23. გრიშინი ვ. ვ.	57. კონევი ი. ს.	90. პანკრატოვა ა. მ.	123. ხრუნიჩევი მ. ვ.
24. გრიშინი ი. ტ.	58. კორნეიჩუკი ა. ე.	91. პატოლიჩევი ნ. ს.	124. ხრუშჩოვი ნ. ს.
25. გრომიკო ა. ა.	59. კოროტჩენკო დ. ს.	92. პეგოვი ნ. მ.	125. ჩერნიშევი ვ. ე.
26. დანიალოვი ა. დ.	60. კოსიგინი ა. ნ.	93. პერვუხინი მ. გ.	126. შვერნიკი ნ. მ.
27. დემენტიევი პ. ვ.	61. კუზნეცოვი ვ. ვ.	94. პეტუხოვი კ. დ.	127. შელეპინი ა. ნ.
28. დენისოვი გ. ა.	62. კუნაევი დ. ა.	95. პოდგორნი ნ. ვ.	128. შეპილოვი დ. ტ.
29. დერიუგინი ბ. ი.	63. კუუსინენი ო. ვ.	96. პოლიანსკი დ. ს.	129. შკოლნიკოვი ა. მ.
30. ჯავახიშვილი გ. დ.	64. კუჩერენკო ვ. ა.	97. პონომარიოვი ბ. ნ.	130. შტიკოვი ტ. ფ.
31. დორონინი პ. ი.	65. კებინი ი. გ.	98. პონომარენკო პ. კ.	131. იუდინი პ. თ.
32. დუდოროვი ნ. პ.	66. ლარიონოვი ა. ნ.	99. პოსპელოვი პ. ნ.	132. იაკოვლევი ი. დ.
33. ენიუტინი გ. ვ.	67. ლაპტევი ნ. ვ.	100. პროკოფიევი ვ. ა.	133. იასნოვი მ. ა.
34. ეფრემოვი მ. ტ.			

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები

1. ანდრეევა ნ. ნ.	32. ზოლოტუხინი გ. ს.	63. მალიკი ი. ა.	93. სინიაგოვსკი პ. ე.
2. ბაგრამიანი ი. ქ.	33. ზორინი ვ. ა.	64. მელნიკოვი ლ. გ.	94. სკიდანენკო ი. ტ.
3. ბირიუზოვი ს. ს.	34. ზოტოვი ვ. პ.	65. მელნიკოვი რ. ე.	95. სკულკოვი ი. პ.
4. ბორისოვი ს. ზ.	35. ივაშჩენკო ო. ი.	66. მენშიკოვი მ. ა.	96. სმირნოვი ნ. ი.
5. ბუბნოვსკი ნ. დ.	36. ისლიუკოვი ს. მ.	67. მილარშჩიკოვი ვ. პ.	97. სოკოლოვი ტ. ი.
6. ბუდიონი ს. მ.	37. იშკოვი ა. ა.	68. მიურისეპი ა. ა.	98. სოლოვიოვი ლ. ნ.
7. ბუტუზოვი ს. მ.	38. კაზანეცი ი. პ.	69. ნაიდეკი ლ. ი.	99. სტეპანოვი ხ. ა.
8. ვორონოვი ფ. დ.	39. კალმიკოვი ვ. დ.	70. ნედელინი მ. ი.	100. სტროკინი ნ. ი.
9. განენკო ი. პ.	40. კანუნიკოვი მ. ი.	71. ნეფედოვა ო. ი.	101. სურგანოვი ფ. ა.
10. გლებოვსკი გ. ნ.	41. კარასევი ვ. ი.	72. ნიკიტინი პ. ვ.	102. სურკოვი ა. ა.
11. გორბატოვი ა. ვ.	42. კლიმოვი ა. პ.	73. ნოსენკო ი. ი.	103. ტარასოვი მ. პ.
12. გორშკოვი ს. გ.	43. კოვალი კ. ი.	74. ორლოვი გ. მ.	104. ტაშენევი უ. ა.
13. გრეჩკო ა. ა.	44. კოზლოვი ა. ი.	75. ორლოვსკი კ. პ.	105. ტიმოშენკო ხ. ვ.
14. გრეჩუხა მ. ს.	45. კოზლოვი ვ. ი.	76. ოსტროვიტიანოვი კ. ვ.	106. ტოკა ს. კ.
15. გრიშინი კ. ნ.	46. კომაროვი პ. ტ.	77. პავლოვი დ. ვ.	107. ტროფიმოვი ა. ხ.
16. გრიშკო გ. ე.	47. კომიახოვი ვ. გ.	78. პალეცკისი ი. ი.	108. ტუმანოვა ზ. პ.
17. გრომოვი ე. ი.	48. კონსტანტინოვი ფ. ვ.	79. პეტუხოვი ა. უ.	109. ტური ფ. პ.
18. გურეევი ნ. მ.	49. კორნიეცი ლ. რ.	80. პილიპეცი ს. მ.	110. ფადეევი ა. ა.
19. დიგაი ნ. ა.	50. კოსოვი ვ. ვ.	81. პოპოვა ნ. ვ.	111. ფირიუბინი ნ. პ.
20. ევსეენკო მ. ა.	51. კოსტოუსოვი ა. ი.	82. პოსტოვალოვი ს. ო.	112. ფლორენტიევი ლ. ი.
21. ელიუტინი ვ. პ.	52. კრახმალევი მ. კ.	83. პჩელიაკოვი ა. პ.	113. ხახალოვი ა. უ.
22. ეპიშევი ა. ა.	53. კუმიკინი პ. ნ.	84. რაიზერი დ. ი.	114. ჩეპლაკოვი პ. ფ.
23. ერემენკო ა. ი.	54. ლაცისი ვ. ტ.	85. რაშიდოვი შ.	115. ჩუბინიძე მ. დ.
24. უავორონკოვი ვ. გ.	55. ლიხაჩოვი ი. ა.	86. რუდაკოვი ა. პ.	116. ჩუიკოვი ვ. ი.
25. ყიგარიოვი პ. ფ.	56. ლობანოვი პ. პ.	87. რუდენკო რ. ა.	117. ჩურაევი ვ. მ.
26. ყიმერინი დ. გ.	57. ლოგინოვი ს. პ.	88. რუდი გ. ი.	118. შაშკოვი ზ. ა.
27. ეუკოვი კ. პ.	58. ლომაკო პ. ფ.	89. რიაბიკოვი ვ. მ.	119. შერემეტიევი ა. გ.
28. ეურინი ნ. ი.	59. ლუნევი კ. ფ.	90. სემიჩასტნი ვ. ე.	120. შუმაუსკასი მ. ი.
29. ზაკურდაევი ვ. ი.	60. ლუჩინსკი ა. ა.	91. სენინი ი. ს.	121. იუდინი პ. ა.
30. ზამჩევსკი ი. კ.	61. ლიკოვა ლ. პ.	92. სიზოვი გ. ფ.	122. იურკინი ტ. ა.
31. ზარუბინი გ. ნ.	62. მაქსარევი ი. ე.		

პარტიის XX ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური საარევიზიო კომისიის შემადგენლობა

1. აბაბკოვი ტ. ი.	17. იგნატოვი ს. ა.	33. მალინინი მ. ს.	49. პროკოფიევი ვ. ვ.
2. აბალინი ს. მ.	18. ილიჩოვი ლ. თ.	34. მერეცკოვი კ. ა.	50. პრომისლოვი ვ. ფ.
3. აგკაცევი ვ. მ.	19. კაზმინი ნ. დ.	35. მირონოვა ზ. ვ.	51. პუშკინი გ. მ.
4. არუშანიანი შ. მ.	20. კაიროვი ი. ა.	36. მოსკატოვი პ. გ.	52. როყანჩიკი ნ. მ.
5. ბაბიჩი ვ. ი.	21. კამალოვი ს.	37. მოსკოვსკი ვ. პ.	53. სატიუკოვი პ. ა.
6. ბოიკოვა ა. პ.	22. კიდინი ა. ნ.	38. მურავიოვა ნ. ა.	54. სემიონოვი ვ. ს.
7. ვინოგრადოვი ს. ა.	23. კირილინი ვ. ა.	39. ოვეზოვი ბ.	55. სიმონოვი კ. მ.
8. ვორობიოვი გ. ი.	24. კოსიაჩენკო გ. პ.	40. ოზოლინი კ. მ.	56. სპირიდონოვი ვ. მ.
9. გორკინი ა. თ.	25. კოჩეტოვი ვ. ვ.	41. ორლოვი მ. ა.	57. სუეტინი მ. ს.
10. გრომოვი გ. პ.	26. კუზნეცოვი ფ. ფ.	42. ოსიპოვი გ. ი.	58. ულჯაბაევი ტ.
11. გუბინი კ. ა.	27. კუზმინი ი. ი.	43. ოსოსკოვი ვ. ი.	59. ჩერედნიჩენკო ე. ტ.
12. დოროშენკო პ. ე.	28. კუზმინი ნ. მ.	44. პალგუნოვი ნ. გ.	60. შიკინი ი. ვ.
13. დუბკოვეცკი ფ. ი.	29. კულატოვი ტ.	45. პანიუშკინი ა. ს.	61. შჩერბიცკი ვ. ვ.
14. ეუკოვი გ. ა.	30. ლაზურენკო მ. კ.	46. პოდზერკო ვ. ა.	62. იუსუპოვი ი.
15. ზიმიანინი მ. ვ.	31. ლუკიანოვი ვ. ვ.	47. პოლიკარპოვი დ. ა.	63. იაკოვლევი ა. ი.
16. იბრაგიმოვი მ. ა.	32. მალინი ვ. ნ.	48. პროკონენი პ. ს.	

საბოლოო სხდომა

25 თებერვალს კრემლში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

საბოლოო სხდომაზე ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ყრილობამ მოისმინა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე. ი. **გრომოვის** ცნობა პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების შედეგების შესახებ. დელეგატები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ცნობას პარტიის ცენტრალური ორგანოების ერთსულოვნად არჩევის შესახებ.

ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვს** პრეზიდიუმის სახელით ყრილობის განსახილველად შეაქვს პროექტი დადგენილებისა პარტიის ახალი პროგრამის მომზადების შესახებ. ყრილობა ერთსულოვნად იღებს ამ დადგენილებას.

სხდომის თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია, და ყრილობას დახურულად აცხადებს. ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და უდიდესი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. დარბაზში იმართება მქუხარე ოვაციები, გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!“, „გაუმარჯოს ლენინიზმს!“. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(მიღებულია ერთხმად 1956 წლის 25 თებერვალს)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა აღნიშნავს, რომ პარტიის XIX ყრილობის მიერ დადგენილი დავალებანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ წარმატებით შესრულდა.

განვლილ ხუთწლედში სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 85 პროცენტით, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება გადიდდა 91 პროცენტით, ხოლო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის საერთო მოცულობა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 2,2-ჯერ გადიდდა. 1955 წელს სამრეწველო პროდუქცია გამოშვებულია 3,2-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმის დავალებანი მძიმე მრეწველობის პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა — ფოლადის, ნაგლინის, ქვანახშირის, ნავთობის, ელექტროენერგიის, ცემენტის, ალუმინის, ავტომობილების, ტრაქტორებისა და ბევრი სხვა სახეობის პროდუქციის დარგში.

იმ დიდ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში, შექმნილია სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პირობები. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების მეოხებით მარცვლეულის კულტურების ფართობი 1955 წელს თითქმის 24 მილიონი ჰექტარით გადიდდა 1950 წელთან შედარებით. გაიზარდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავალი და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

მძიმე ინდუსტრიის წარმატებით განვითარებამ და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდამ შექმნა შესაძლებლობა გადიდებულიყო სახალხო მოხმარების საგნების წარმოება ხუთწლედში 76 პროცენტით, რაც ნიშნავს ზრდას ომამდელ დონესთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად. გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლედის დავალებანი ტრანსპორტის დარგში. ტექნიკის განუწყვეტელი სრულყოფის, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და სოციალისტური შეჯიბრების განვითარების საფუძველზე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტზე.

მეხუთე ხუთწლედის წლებში სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 68 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი გადიდდა 39 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი — 50 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმის დავალებანი საცალო საქონელბრუნვის დარგში. წარმატებით ვითარდებოდა საბჭოთა მეცნიერება და კულტურა.

ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა აღნიშნავს, რომ არსებითი ნაკლოვანებებია სამეურნეო საქმიანობის ცალკეულ დარგებში. მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარება ჩამორჩება სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებებს. ვერ შესრულდა ხუთწლიანი გეგმის დავალება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესახებ, რაც აბრკოლებდა მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგების განვითარებას, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას.

წარმოების მთელ რიგ დარგებში ჩამორჩენაა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვისა და გამოყენების საქმეში; ჯერ კიდევ საკმარისი არ არის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში.

დავალება შრომის ნაყოფიერების დარგში მრეწველობასა და მშენებლობაში მთლიანად ვერ შესრულდა, შრომის ხარჯვა პროდუქციის ერთეულზე ჯერ კიდევ დიდია.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, კიდევ უფრო განმტკიცდა მეურნეობის სოციალისტური სისტემა, ამაღლდა საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე, გაფართოვდა სსრ კავშირის სამეურნეო ურთიერთობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, განმტკიცდა საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის საერთაშორისო მდგომარეობა.

საბჭოთა კავშირს ახლა აქვს მძლავრი და ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური წარმოება, გაცილებით მეტი, ვიდრე ოდესმე, მატერიალური რესურსები, აგრეთვე ჰყავს კვალიფიციური კადრები.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მიღწეული დონე შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა სახელმწიფოს სწრაფი ტემპებით განავითაროს არა მარტო წარმოების საშუალებათა წარმოება, რაც იყო და კვლავ არის მთელი სახალხო მეურნეობის ურყევი საფუძველი, არამედ აგრეთვე სახალხო მოხმარების საგნების წარმოება, მნიშვნელოვნად გაამრავლოს საზოგადოებრივი სიმდიდრე და ამით კიდევ უფრო წინ წავიდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას მიაჩნია, რომ ახლა საბჭოთა ქვეყანას ყველა საჭირო პირობა აქვს იმისათვის, რომ მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზით უმოკლეს ისტორიულ ვადებში გადაჭრას სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დაეწიოს და გაუსწროს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიაღწიოს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

მეექვსე ხუთწლედი უნდა იყოს საბჭოთა ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარების, წარმოების უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე სახალხო მეურნეობის გადასვლის ხუთწლედი, ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის სერიოზული ამაღლებისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ხუთწლედი.

პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანების საფუძველზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა აწესებს შემდეგ დირექტივებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ:

I. მრეწველობა

1. განისაზღვროს სამრეწველო პროდუქციის ზრდა ხუთწლედში დაახლოებით 65 პროცენტით.

მრეწველობის დარგში მეექვსე ხუთწლედის პირველი რიგის ამოცანებად მიჩნეულ იქნას შავი და ფერადი მეტალურგიის, ნავთობის, ქვანახშირისა და ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარება, ელექტროსადგურების მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა, მანქანათმშენებლობის, განსაკუთრებით ტექნიკურად სრულყოფილი ჩარხების, სამჭედლო-საწნეხე მანქანების, ავტომატიკის საშუალებებისა და ხელსაწყოების წარმოების სწრაფი ზრდა. გადიდდეს წარმოების საშუალებათა („ა“ ჯგუფი) წარმოება ხუთწლედში დაახლოებით 70 პროცენტით.

უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობისათვის საქონლის მწარმოებელი მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი განვითარება. დაწესდეს მოხმარების საგნების („ბ“ ჯგუფი) წარმოების ზრდა ხუთწლედში დაახლოებით 60 პროცენტით.

2. განისაზღვროს სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების მოცულობა 1960 წლისათვის — მეექვსე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის — დაახლოებით შემდეგი ოდენობით:

			პროცენტობით 1955 წლის წარმოების მოცულობასთან შედარებით
შავი ლითონები			
თუჯი	53	მილიონი ტონა	159
ფოლადი	68,3	მილიონი ტონა	151
ნაგლინი	52,7	მილიონი ტონა	152
საწვავი და ელექტროენერგია			
ქვანახშირი	593	მილიონი ტონა	152
ნავთობი	135	მილიონი ტონა	191
გაზი	40	მილიარდი კუბური მეტრი	388
ელექტროენერგია აქედან	320	მილიარდი კილოვატსაათი	188
ჰიდროელექტროენერგია	59	მილიარდი კილოვატსაათი	255
ქიმიკატები და მინერალური სასუქები			
მინერალური სასუქები	19,6	მილიონი ტონა	204
კაუსტიკური სოდა	1.000	ათასი ტონა	177
კალცინირებული სოდა	2.420	ათასი ტონა	168
მანქანები და მოწყობილობა			
მეტალურგიული მოწყობილობა	280	ათასი ტონა	163
ქიმიური მოწყობილობა	208	ათასი ტონა	184
ნავთობაპარატურა	120	ათასი ტონა	248
ორთქლისა და გაზის ტურბინები	10,5	მილიონი კილოვატი	258
ჰიდროავლიკური ტურბინები	2,6	მილიონი კილოვატი	173
ორთქლის, გაზისა და ჰიდროავლიკური ტურბინების გენერატორები	11	მილიონი კილოვატი	243
ლითონსაჭრელი ჩარხები	200	ათასი ცალი	190
სამჭედლო-საწნეხე მანქანები	25,8	ათასი ცალი	185
ხელსაწყოები და მათი სათადარიგო ნაწილები	7	მილიარდი მანეთისა	352
ავტომობილები	650	ათასი ცალი	146
ტრაქტორები	322	ათასი ცალი	197
სასოფლო-სამეურნეო მანქანები	9,5	მილიარდი მანეთისა	176
მარცვლეულის კომბაინები	140	ათასი ცალი	292
ვინდროუერები	50	ათასი ცალი	21-ჯერ
ელექტრომავლები	550	ცალი	284
თბომავლები	1.630	ცალი	12-ჯერ
სამაგისტრალო სატვირთო ვაგონები	52	ათასი ცალი	151
სამაგისტრალო სამგზავრო ვაგონები	2.800	ცალი	158
ხე-ტყისა და საშენი მასალები			
სამასალე მერქანი (ამოზიდვა)	264	მილიონი კუბური მეტრი	134
დახერხილი ხე-ტყის მასალა	80	მილიონი კუბური მეტრი	138
ცემენტი	55	მილიონი ტონა	245
შიფერი	3.050	მილიონი პირობითი ფილა	205
ფანჯრის მინა	155	მილიონი კვადრატული მეტრი	156
სახალხო მოხმარების საგნები			
ბამბის ქსოვილები	7.270	მილიონი მეტრი	123
შალის ქსოვილები	363	მილიონი მეტრი	145
სელის ქსოვილები	556	მილიონი მეტრი	182
აბრეშუმის ქსოვილები	1.074	მილიონი მეტრი	204
ხელოვნური ბოჭკო	330	ათასი ტონა	299
შეკერილი ნაწარმი	78	მილიარდი მანეთისა	152
საცვლისა და ზედა ტრიკოტაჟი	580	მილიონი ცალი	135
ფეხსაცმელი	455	მილიონი წყვილი	152
ყველა სახეობის საათი	33,6	მილიონი ცალი	171
რადიომიმღებები და ტელევიზორები	10,2	მილიონი ცალი	255
საყოფაცხოვრებო მაცივრები	635	ათასი ცალი	419
საყოფაცხოვრებო სარეცხი მანქანები	528	ათასი ცალი	608
საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანები	3.780	ათასი ცალი	235
მოტოციკლები	395	ათასი ცალი	162
ველოსიპედები	4.230	ათასი ცალი	147
ქაღალდი	2.722	ათასი ტონა	146
ბამბეული	14,6	მილიარდი მანეთისა	211
ფხვნილი შაქარი	6.530	ათასი ტონა	191
ხორცი (სამრეწველო გამოშუშავება)	3.950	ათასი ტონა	178
თევზი	4.200	ათასი ტონა	157
ერბო-კარაქი და რძის სხვა პროდუქტები (რძეზე გადაანგარიშებით)	25	მილიონი ტონა	185
მცენარეული ზეთი	1.840	ათასი ტონა	165
კონსერვები	5.580	მილიონი პირობითი ქილა	178

3. ფართო მასშტაბით განხორციელდეს მრეწველობის ყველა დარგის წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებანი ელექტროფიკაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი განვითარების, მაღალი წარმადობის უახლესი მოწყობილობისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, მოძველებული მოწყობილობის ფართოდ შეცვლისა და მოდერნიზაციის საფუძველზე.

4. მეექვსე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ატომის ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნით. 1956-1960 წლებში აშენდეს 2-2,5 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის ატომის ელექტროსადგურები. ატომის ელექტროსადგურები აიგოს პირველ რიგში იმ რაიონებში, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი სათბობის ბაზა. გაჩაღდეს მუშაობა ატომის ძალოვანი დანადგარების შესაქმნელად სატრანსპორტო მიზნით. აშენდეს ყინულმჭრელი ატომური ძრავით. ყოველი ღონისძიებით განვითარდეს მუშაობა იმისათვის, რომ შემდგომ გამოვიყენოთ რადიაქტიური გამოსხივება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მედიცინაში, კერძოდ, მასალების ხარისხის კონტროლისათვის, საწარმოო პროცესების მართვისა და ამ პროცესების ავტომატური რეგულირებისათვის, აგრეთვე სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის. უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული ნიშნდებული ატომები სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებში. მნიშვნელოვნად გადიდდეს დოზიმეტრიული და რადიომეტრიული აპარატურის, კონტროლისა და მართვის ხელსაწყოების წარმოება.

5. უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდება მოქმედ საწარმოებში შრომის ნაყოფიერების გადიდების, არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების, მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაციისა და შეცვლის, „ვიწრო ადგილების“ აღკვეთის, აგრეთვე საწარმოთა უფრო რიტმული მუშაობის და პროდუქციის თანაბარი გამოშვების ორგანიზაციის, წარმოების მატერიალური მომარაგებისა და დაგეგმვის საქმის გაუმჯობესების გზით.

მიღებულ იქნას წარმოების უკეთესი ორგანიზაციისა და არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გზით, კერძოდ, ფოლადის წარმოების დასახული მატეგის სულ მცირე 47 პროცენტი, თუჯისა — 35 პროცენტი, შავი ლითონების ნაგლინისა — 40 პროცენტი, რაფინირებული სპილენძისა — 42 პროცენტი, თუთიისა — 47 პროცენტი, ტყვიისა — 34 პროცენტი, ალუმინისა — 20 პროცენტი, ნიკელისა — 60 პროცენტი, ქვანახშირისა — 35 პროცენტი, გამშვირვალე ნავთობპროდუქტებისა — 25 პროცენტი, ამონიაკისა — 34 პროცენტი, კაუსტიკური სოდისა — 53 პროცენტი, კალცინირებული სოდისა — 30 პროცენტი, ავტოშინებისა — 24 პროცენტი, ჰიდრავლიკური ტურბინებისა — 54 პროცენტი, ტრანსფორმატორებისა — 64 პროცენტი, ლითონსაჭრელი ჩარხებისა — 65 პროცენტი, ავტომობილებისა — 55 პროცენტი, ტრაქტორებისა — 69 პროცენტი, ექსკავატორებისა — 48 პროცენტი, ქიმიური მოწყობილობისა — 35 პროცენტი, ელექტრომავლებისა — 40 პროცენტი, სამგზავრო ვაგონებისა — 89 პროცენტი, სამჭედლო-საწნეხე მანქანებისა — 29 პროცენტი, ცემენტისა — 32 პროცენტი, შიფერისა — 56 პროცენტი, რბილი სახურავისა — 27 პროცენტი, ფანჯრის მინისა — 86 პროცენტი, მუყაოსი — 12 პროცენტი, ქაღალდისა — 56 პროცენტი, შალის ქსოვილებისა — 39 პროცენტი, სელის ქსოვილებისა — 56 პროცენტი, ტყავის ფეხსაცმლისა — 36 პროცენტი, შაქრის ფხვნილისა — 63 პროცენტი, ხორცისა — 63 პროცენტი, კონსერვებისა — 51 პროცენტი და მცენარეული ზეთისა — 64 პროცენტი.

6. უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის, ლითონებისა და სხვა მატერიალური რესურსების უფრო რაციონალური ხარჯვა, ნედლეულის კომპლექსური გამოყენება მისი გადამუშავებისას, ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმების შემცირება, დეფიციტურ და ძვირადღირებულ სახეობათა ნედლეულს, მასალებისა და ფერადი ლითონების შემცვლელთა დანერგვა. გაფართოვდეს წარმოებაში მეორადი ნედლეულის, აგრეთვე ახალ სახეობათა ეკონომიური მასალების გამოყენება. მკვეთრად შემცირდეს მასალების დანაკარგი წარმოებაში, განსაკუთრებით წუნით გამოწვეული დანაკარგი.

7. შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირების, ადმინისტრაციულ-სამმართველო და სხვა ზედნადები ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირების საფუძველზე შემცირდეს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება ხუთწლედში სულ ცოტა 17 პროცენტით.

8. განხორციელდეს 1956-1960 წლებში გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს მოქმედი და მშენებლობის პროცესში მყოფი საწარმოების მინერალურ-ნედლეული ბაზების საჭირო გაფართოებას და მადნეულის გამოკვლეული მარაგის რეზერვის შექმნას მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის, უწინარეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

უზრუნველყოფილ იქნას რკინის მდიდარი მადნებისა და ნიკელის გამოკვლეული მარაგის მატება ხუთწლედის დასაწყისში არსებული მარაგის 30-35 პროცენტით, სპილენძის, ბოქსიტების, ტიტანის, ფოსფორიტებისა და ბორის ნედლეულისა — 40-45 პროცენტით, ნიობიტისა — 50-55 პროცენტით, ტყვიისა და კალისა — 55-60 პროცენტით, მოლიბდენისა — 65-70 პროცენტით, ვერცხლისწყლისა — 75-80 პროცენტით, ნავთობისა — 65-70 პროცენტით, აგრეთვე ენერგეტიკული ქვანახშირების საშახტე ველების მატება სიმძლავრის მხრივ — 35-40 პროცენტით და კოქსვადი ქვანახშირების საშახტე ველებისა — სულ მცირე 40 პროცენტით.

ყოველი ღონისძიებით გაფართოვდეს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ნავთობის, გაზის, ფერადი და იშვიათი ლითონების, ტიტანის, ფერომარგანეცის წარმოებისათვის მარგანეცის მადნების ახალ საბადოთა ძიება. გაძლიერდეს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, რათა მომზადებულ იქნას კოქსვადი ქვანახშირების ახალი საშახტე ველები დონეცის, პეჩორის, კუზნეცკისა და სამხრეთ იაკუტიის აუზებში, მცირენაცრიანი და კოქსვადი ქვანახშირებისა ყაზახეთში და ენერგეტიკული ქვანახშირებისა საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში, ურალსა და შუა აზიაში.

9. **შავი მეტალურგიის** დარგში უზრუნველყოფილ იქნას შავი ლითონებისა და განსაკუთრებით ლეგირებული ფოლადების, წვრილსორტული ფოლადის, ნაგლინის, კალიბრებული ფოლადის, საინსტრუმენტო და ელექტროტექნიკური ფოლადების, ბიმეტალური ფურცლისა და პროფილური მილების წარმოების ზრდის სწრაფი ტემპი; მოეწყოს ფურცლოვანი, ზოლური და ლენტური ფოლადისაგან ღუნვადი ფასონური პროფილების წარმოება. გადიდდეს ხუთწლედის განმავლობაში მცირელეგირებული ფოლადის წარმოება დაახლოებით 17-ჯერ, სადინამე ფოლადისა — 97 პროცენტით, სატრანსფორმატორო ფოლადისა — 2,1-ჯერ, ფურცლოვანი ნაგლინისა — 85 პროცენტით, მათ შორის თხელფურცლოვანი ნაგლინისა — 2,2-ჯერ და ცივდნაგლინი ფურცლისა — 4-ჯერ, წვრილსორტული ნაგლინისა — 93 პროცენტით, მსხვილი მავთულისა — 2,1-ჯერ, დიდი დიამეტრის შედუღებული მილებისა — 2,7-ჯერ, ფოლადის მავთულისა — 3-ჯერ, ჩვეულებრივი მავთულისა — 2,4-ჯერ, ცივადნაგლინი ლენტისა — 76 პროცენტით, ფოლადის გვარლისა — 80 პროცენტით და სამაგრი ნაწარმისა. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ხაზით — 4,4-ჯერ.

გადიდდეს 1960 წელს 1955 წელთან შედარებით ელექტროფოლადის გამოდნობა — 79 პროცენტით, კოქსის გამოწვა — 48 პროცენტით და რკინის მადნის ამოღება — 59 პროცენტით. 1960 წელს აყვანილ იქნას გადიდებული საფუძვლის გამდნობადებული აგლომერატის წარმოება 73 მილიონ ტონამდე.

უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ხაზით 1960 წელს გამოდნობა ჟანგბადით გამდიდრებული ბერვის გამოყენებით ყველა საბრძმედე ფეროშენადნობებისა და ჟანგბადის გამოყენებით დაახლოებით მთელი წარმოებული ფოლადის, მათ შორის მთელი კონვერტერული ფოლადისა 40 პროცენტის რაოდენობით. მოეწყოს ელექტროფოლადის წარმოება დუპლექს-პროცესით კონვერტერებსა და ელექტროღუმელებში. ყოველი ღონისძიებით გაფართოვდეს ფოლადის გამოდნობა და ჩასხმა ვაკუუმით. მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მილების ცენტრიდანული და ნახევრადუწყვეტი ჩამოსხმა და თუნუქის ელექტროლიზული მოკალვა. ფართო მასშტაბით დაინერგოს ფოლადის განუწყვეტელი ჩასხმის მაღალნაყოფიერი ხერხი, რაც შესაძლებელს ხდის გაუმჯობესდეს ვარგისი პროდუქციის ხარისხი და გადიდდეს მისი გამოსავლიანობა. დამთავრდეს ფოლადსადნობი ღუმელების გადაყვანა დიდი მდგრადობის ცეცხლგამძლეებით ამოგებაზე.

მეექვსე ხუთწლედში, კაპიტალური მშენებლობის გზით, ამუშავდეს საწარმოო სიმძლავრენი: თუჯის — დაახლოებით 16,8 მილიონი ტონისა, ფოლადის — 15,8 მილიონი ტონისა, ნაგლინის — 16,3 მილიონი ტონისა და რკინის მადნის — 84 მილიონი ტონისა. ხუთწლედში გადიდდეს უჟანგავი ფოლადისა და სიცხეგამძლე შენადნობების წარმოების სიმძლავრე 3,2-ჯერ, მათ შორის სიცხეგამძლე შენადნობებისა 6-ჯერ და მეტად. აშენდეს და ამუშავდეს ლითონის ნაკეთობათა ორი დიდი ქარხანა; შეიქმნას სულ მცირე 800 ათასი ტონა სიმძლავრის ღუნვადი პროფილების წარმოების სპეციალიზებული საამქროები. გაფართოვდეს ფეროშენადნობთა ქარხნების სიმძლავრენი. ამოქმედდეს აღმოსავლეთში მარგანეცის მადნის ამოღების სიმძლავრენი. უზრუნველყოფილ იქნას რკინისა და მარგანეცის მადნების ათვისება და ამოღება ახალ საბადოებში.

10. **ფერადი მეტალურგიის** დარგში გათვალისწინებულ იქნას 1960 წელს 1955 წელთან შედარებით რაფინირებული სპილენძის წარმოების გადიდება დაახლოებით 60 პროცენტით, ალუმინისა — 2,1-ჯერ, ტყვიისა — 42 პროცენტით, თუთიისა—77 პროცენტით, ნიკელისა — 64 პროცენტით, მოლიბდენის პროდუქციისა — 2-ჯერ, ვოლფრამის კონცენტრატებისა — 57 პროცენტით, სასაქონლო მაგნიუმისა — 2,1-ჯერ. მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ტიტანისა და იშვიათი ლითონების — გერმანიუმის, ცირკონის, ნიობიტის, ტანტალისა და სხვების წარმოება. გადიდდეს მაღალი სიწმინდის ფერადი და იშვიათი ლითონების გამოშვება ელექტრონიკის, რადიოტექნიკის და სიცხეგამძლე შენადნობთა წარმოების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისათვის.

ფართოდ დაინერგოს ახალი დიდი წარმადობის ტექნოლოგიური პროცესები: მადნების მრავალსტადიური გამდიდრება, მადნების გამდიდრებისა და ჰიდრომეტალურგიული გადამუშავების კომბინირებული მეთოდები, გამოწვა „მდუღარე ფენაში“, ელექტროთერმული და ავტოკლავური პროცესები, ჟანგბადის გამოყენება ფერად მეტალურგიაში. ხუთწლედის განმავლობაში ფერადი ლითონების მადნების ღია წესით მოპოვება გადიდდეს 2,2-ჯერ და მნიშვნელოვნად გადიდდეს მადნის მიწისქვეშა მოპოვება მასობრივი ჩამონგრევის სისტემებით. გადიდდეს ლითონების ამოღება და მოეწყოს ნედლეულის კომპლექსური გადამუშავება, ამასთან გამოყენებულ იქნას გოგირდმჟავას წარმოებისათვის გოგირდი, რომელსაც მადნები და გაზები შეიცავენ. გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი სამუშაოები ფერადი ლითონების მიღების უფრო ეკონომიური პროცესების გამონახვისათვის, აგრეთვე იშვიათი ლითონების წარმოების ტექნოლოგიის შემდგომი გაუმჯობესებისა და ათვისებისათვის და მათი თვისებებისა და გამოყენების დარგების ყოველმხრივ შესწავლისათვის.

გადიდდეს მეექვსე ხუთწლედში პირველადი ალუმინის წარმოების სიმძლავრენი დაახლოებით 2,7-ჯერ, რაფინირებული სპილენძისა — 50 პროცენტით, ტყვიისა — 54 პროცენტით, თუთიისა — 1,8-ჯერ, ნიკელისა — 1,7-ჯერ და გოგირდმჟავასი ფერადი მეტალურგიის საწარმოებში — 5,2-ჯერ.

11. **ქვანახშირის მრეწველობის** დარგში დაძლეულ იქნას ქვანახშირის ამოღების ჩამორჩენა სათბობზე სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებებისაგან და უზრუნველყოფილ იქნას სათბობის აუცილებელი სახელმწიფო მარაგის დაგროვება.

ყოველი ღონისძიებით განვითარდეს ქვანახშირის ამოღება დონეცისა და კუზნეცკის აუზებში, ლვოვ-ვოლინისა და ეკიბასტუზის საბადოებში, აგრეთვე დაწყებულ იქნას ქვანახშირის ახალი საბადოების ათვისება კუსტანაის ოლქში და იტატის საბადოსი კემეროვოს ოლქში. 1960 წლისათვის საკოქსავი ქვანახშირის ამოღების მოცულობა აყვანილ იქნას დაახლოებით 118 მილიონ ტონამდე წელიწადში.

გაძლიერდეს სამუშაოები ქვანახშირის საბადოების გახსნისა და დამუშავების სისტემების ახალი, უფრო ეფექტიანი მეთოდების ძიების, დაპროექტებისა და დანერგვის საქმეში, ახალი სამთო ტექნიკის შექმნისა და დანერგვის და არსებული სამთო მანქანებისა და მექანიზმების გამოყენების გაუმჯობესების საქმეში.

უზრუნველყოფილ იქნას ქვანახშირის ამოღების ღია წესით შემდგომი განვითარება და აყვანილ იქნას იგი 1960 წელს დაახლოებით 122 მილიონ ტონამდე, აგრეთვე ჰიდრავლიკური წესით ქვანახშირის მიწისქვეშა ამოღების დანერგვა.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

ხუთწლედის განმავლობაში სსრ კავშირის ქვანახშირის სამინისტროს ხაზით ამოქმედდეს ქვანახშირის შახტებისა და ჭრილების სიმძლავრენი წელიწადში დაახლოებით 240 მილიონი ტონა ქვანახშირის ამოსაღებად. გადიდდეს ჭაურების და სხვა კაპიტალური სამთო გვირაბების გაყვანის სიჩქარე დაახლოებით 2-ჯერ. დაჩქარდეს მოქმედი და საექსპლოატაციოდ გადასაცემი ქვანახშირის შახტების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისება. გაუმჯობესდეს ქვანახშირის ხარისხი და ამისათვის გადიდდეს ქვანახშირის გადამუშავება გამამდიდრებელ ფაბრიკებში დაახლოებით 85 პროცენტით და ქვანახშირის ბრიკეტების წარმოება — 2-ჯერ.

მკვეთრად შემცირდეს ქვანახშირის დანაკარგი გამდიდრების ნარჩენებში, გაუმჯობესდეს ქვანახშირის გამდიდრების ტექნოლოგია, ათვისებულ იქნას და დაინერგოს გამდიდრების ახალი ეფექტიანი მეთოდები.

უზრუნველყოფილ იქნას საწვავი ფიქალების ამოღების ზრდა ხუთწლედში სულ ცოტა 67 პროცენტით, ტორფის ამოღებისა — 44 პროცენტით, მათ შორის ფრეზერული ტორფისა — 73 პროცენტით.

12. **ნავთობის მრეწველობის** დარგში უზრუნველყოფილ იქნას ნავთობის ამოღებისა და გადამუშავების ზრდის მაღალი ტემპი, გადიდდეს გამჭვირვალე ნავთობპროდუქტების წარმოება დაახლოებით 2-ჯერ და საცხები ზეთების წარმოება — 1,8-ჯერ.

ნავთობის ამოღების ხვედრითი წონა ფენაზე ხელოვნური ზემოქმედების მეთოდების გამოყენებით საბადოებში აყვანილ იქნას 82 პროცენტამდე. გაუმჯობესდეს და ფართოდ გამოყენებულ იქნას სუსტად შეღწევადი ფენების ჰიდრავლიკური დაშორიშორების მეთოდი.

გადიდდეს ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის საშუალო სიჩქარე საექსპლოატაციო ბურღვაში სულ ცოტა 85 პროცენტით და საძიებო ბურღვაში— 95 პროცენტით. შემცირდეს ბურღვის სამუშაოთა ღირებულება დაახლოებით 30 პროცენტით.

უზრუნველყოფილ იქნას ძიების ახალი ეფექტიანი მეთოდების კომპლექსური გამოყენება და გაუმჯობესდეს მისი ტექნიკური საშუალებანი.

გათვალისწინებულ იქნას ნავთობის გადამუშავების შემდგომი გაღრმავება. გაუმჯობესდეს ავტოსტრატქტორო სათბობებისა და ზეთების ხარისხი: გაძლიერდეს ბენზინების ანტიდეტონაციური თვისებანი, შემცირდეს გოგირდისა და პარაფინის რაოდენობა სადიზელე სათბობში, გაუმჯობესდეს ავტოლებისა და სადიზელე ზეთების სიბლანტე და საექსპლოატაციო თვისებანი. დაინერგოს მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში ნავთობის პროდუქტების წარმოების ახალი, უფრო გაუმჯობესებული ტექნოლოგიური პროცესები და მეთოდები.

გაძლიერდეს ახალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების, მაგისტრალური მილსადენების მშენებლობის ტემპები და მაქსიმალურად გაიაფდეს ეს მშენებლობა. განხორციელდეს ხუთწლედში სიმძლავრეთა მატება ნავთობის პირველადს გადამუშავებაში ახალი ქარხნების მშენებლობის გზით სულ მცირე 45 მილიონი ტონით და ნედლეულის კრეკირებაში — სულ მცირე 26 მილიონი ტონით.

13. ყოველი ღონისძიებით განვითარდეს **გაზის მრეწველობა.** გადიდდეს გაზის როგორც ქიმიური ნედლეულისა და სათბობის გამოყენება სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. ხუთწლედის განმავლობაში გაზის მოპოვება და წარმოება გადიდდეს დაახლოებით 3,9-ჯერ. გაძლიერდეს გეოლოგიურ-საძიებო და საძიებო სამუშაოები გაზის ახალი საბადოების გამოსავლინებლად და უზრუნველყოფილ იქნას ხუთწლედში გაზის სამრეწველო მარაგის მატება 85-90 პროცენტით.

უზრუნველყოფილ იქნას სტავროპოლის, შებელინკის, სტეპნოეს გაზის ახალი საბადოების სამრეწველო გადამუშავების ამოქმედება და საექსპლოატაციოდ მომზადდეს გაზის ბერიოზოვოს საბადო ციმბირში.

აშენდეს და ამოქმედდეს დაახლოებით 9 ათასი კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური გაზსადენები, აქედან ყველაზე დიდი: სტავროპოლ-მოსკოვისა, დაშავა-მინსკ-ლენინგრადისა განშტოებებით ვილნიუსისა და რიგისაკენ, სტავროპოლ-ნევინომისკ-მინერალური წყლები-გროზნოსი, შებელინკა-ხარკოვ-კურსკ-ორიოლ-ბრიანსკისა, ყაზან-გორკისა. დაწყებულ იქნას ბერიოზოვ-სვერდლოვსკისა და გროზნო-თბილისის გაზსადენების მშენებლობა.

14. **ელექტროფიკაციის** დარგში გაძლიერდეს მშენებლობის ტემპები და გაუმჯობესდეს მისი ხარისხი; უზრუნველყოფილ იქნას თბოელექტროსადგურების, ჰიდროელექტროსადგურების, ელექტროქსელებისა და თბოქსელების ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლება. მრეწველობაში ელექტროენერგიის შემდგომ დანერგვასთან ერთად, განხორციელდეს ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის უფრო ფართო ელექტროფიკაცია, აგრეთვე გაუმჯობესდეს ქალაქების მომარაგება ელექტროენერგიით.

ხუთწლედის განმავლობაში ტურბინებიანი ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე გადიდდეს დაახლოებით 2,2-ჯერ, ჰიდროელექტროსადგურებისა — 2,7-ჯერ და ელექტროსადგურთა სამინისტროს 35-220 კილოვოლტი ძაბვის ელექტროქსელთა სიგრძე — 2,2-ჯერ.

დამთავრდეს კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მათ სრულ სიმძლავრემდე; გაიშალოს სარატოვის 1 მილიონი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ვოლგაზე; დამთავრდეს კამაზე ვოდკინის 540 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, დაწყებულ იქნას ქვემო კამის 900 ათას კილოვატამდე სიმძლავრის ელექტროსადგურისა და ვოლგის ჩებოქსარის 800 ათასამდე კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

აშენდეს და ამუშავდეს კრემენჩუგის 450 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური და დნეპროძერჟინსკის 250 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური.

გაიშალოს უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში. ამოქმედდეს ანგარაზე ირკუტსკის 660 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, პირველი რიგი ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურისა, რომლის სრული დაპროექტებული სიმძლავრე 3 მილიონი 200 ათასი კილოვატი იქნება, და ნოვოსიბირსკის 400 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური ობზე. დაწყებულ იქნას კრასნოიარსკის 3 მილიონი 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ენისეიზე და კამენის 500 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ობზე.

შეიქმნას სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების ცენტრალურ, სამხრეთ და ურალის ენერგოსისტემებთან გაერთიანების გზით, აშენდეს ამ მიზნით 400 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები: გაიშალოს ცენტრალური ციმბირის (ნოვოსიბირსკიდან ირკუტსკამდე) ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნის სამუშაოები. გაერთიანდეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგოსისტემები.

დიდი ელექტროსისტემების რაიონული თბოელექტროსადგურების სიმძლავრეთა ზრდა განხორციელდეს, როგორც წესი, დიდი სიმძლავრის ელექტროსადგურთა მშენებლობით, იქ 100, 150 და 200 ათას კილოვატიანი აგრეგატების დადგმით და ასეთი ელექტროსადგურების განლაგებით სათბობის მოპოვების რაიონებში.

უზრუნველყოფილ იქნას სამრეწველო საწარმოთა და დიდი ქალაქების შემდგომი თბოფიკაცია და აღმოიფხვრას ჩამორჩენა თბოქსელების მშენებლობაში.

გათვალისწინებულ იქნას ელექტროსიმძლავრის საექსპლოატაციო რეზერვების შექმნა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიან ენერგეტიკულ სისტემაში და სხვა დიდ ენერგოსისტემებში სულ მცირე 10 პროცენტის რაოდენობით.

ელექტროსადგურთა მუშაობის ეკონომიურობის შემდგომი გადიდებისა და მათი ღირებულების შემცირების მიზნით ფართოდ გამოყენებულ იქნას დიდ თბოელექტროსადგურებში 130 ატმოსფეროს ორთქლის წნევის მოწყობილობა 565°C-მდე ტემპერატურის პირობებში, ორთქლის შუალედური გადამეტხურებით და უზრუნველყოფილ იქნას დანერგვა ბლოკური სქემისა: ქვაბი-ტურბინი. ათვისებულ იქნას საპრეწველო ექსპლოატაციაში 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის 220 ატმოსფეროს ორთქლის წნევის ტურბინების ბლოკები 600°C ტემპერატურის პირობებში. ამოქმედდეს 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის 300-მდე ატმოსფეროს ორთქლის წნევის ტურბინის ბლოკი 650°C ტემპერატურის პირობებში, აგრეთვე მთელი რიგი საცდელი და სამრეწველო გაზტურბინის ელექტროსადგურები. განხორციელდეს მთელი რიგი ნაკლებეკონომიური თბოელექტროსადგურების ტექნიკური რეკონსტრუქცია მაღალი პარამეტრის ორთქლის გამოყენების გზით.

განხორციელდეს ელექტროენერგიის გადაცემა მაღალი ძაბვის მუდმივი დენით, რისთვისაც ამოქმედდეს მუდმივი დენის ელექტროგადამცემი ხაზი სტალინგრადის ჰესი — დონბასი.

15. გათვალისწინებულ იქნას **ქიმიური მრეწველობის** განვითარების დაჩქარებული ტემპი და განსაკუთრებით იმ ქიმიური პროდუქტების წარმოებისა, რომლებიც საჭიროა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფისათვის.

მნიშვნელოვნად გადიდდეს ქიმიური პროდუქტების წარმოება, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას. მოეწყოს ახალ სახეობათა კონცენტრირებული მინერალური სასუქების და ახალი, უფრო ეფექტიანი შხამქიმიკატების წარმოება სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. გადიდდეს კონცენტრირებული ფოსფორიანი სასუქების წარმოება დაახლოებით 1 მილიონ ტონამდე წელიწადში.

მოეწყოს დიდი სამრეწველო მასშტაბებით ქიმიკატების წარმოება სარეველათა წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების მოვლისათვის შრომის ხარჯვის მნიშვნელოვანი შემცირება.

მკვეთრად გადიდდეს მინერალური სასუქების ნედლეულის — აპატიტის კონცენტრატის, ფოსფორიტების, აგრეთვე გოგირდმჟავასა და გოგირდის წარმოება ბუნებრივი გოგირდის საბადოების გამოყენების, გოგირდსპილენძის მადნებისა და გოგირდშემცველი გაზების გადამუშავების ბაზაზე. გადიდდეს ამონიაკის წარმოება დაახლოებით 87 პროცენტით და გოგირდმჟავასი — 91 პროცენტით.

ქიმიური და ნავთობის მრეწველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ნავთობის გაზების, ბუნებრივი გაზებისა და ნავთობპროდუქტების გამოყენების მკვეთრად გადიდება სინთეზური კაუჩუკის, სპირტის, სარეცხი საშუალებებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოებისათვის, რათა მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში მთლიანად შეიცვალოს სინთეზური ნედლეულით კვების ის პროდუქტები, რომლებიც ტექნიკურ მიზნებს ხმარდება. გადიდდეს სინთეზური კაუჩუკის წარმოება დაახლოებით 2,2-ჯერ. გადიდდეს ქიმიკატების გამომუშავება კოქსის გაზისა და ქვანახშირის კოქსვის პროდუქტების უკეთ გამოყენების გზით.

გაფართოვდეს სინთეზური ფისების, მაღალხარისხოვანი სანდალოზებისა და საღებრების, პლასტიკური მასების, ელექტროსაიზოლაციო მასალების, სინთეზური მასალების ასორტიმენტი და გადიდდეს მათი წარმოება მანქანათმშენებლობისათვის, რადიოტექნიკისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის. გადიდდეს ხელოვნური ბოჭკოსათვის სინთეზური მასალების გამომუშავება 5,9-ჯერ. გადიდდეს საავტომობილო შინების წარმოება დაახლოებით ერთიორად.

ფართოდ დაინერგოს ქიმიურ მრეწველობაში ახალი ეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესები და მაღალი წარმადობის მოწყობილობა. გადიდდეს ხუთწლედის განმავლობაში სიმძლავრენი ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ამონიაკისა და კაუსტიკური სოდის საწარმოებში 1,7-ჯერ, სინთეზური კაუჩუკის საწარმოებში — 2,3-ჯერ.

16. **მანქანათმშენებლობის** დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ახალი მაღალი წარმადობის სახეობათა მწყობილობისა და მანქანების, ჩარხების, წნეხების, აპარატებისა და ხელსაწყოების წარმოების შემდგომი ათვისება და ფართოდ განვითარება. გადიდდეს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება ხუთწლედის მანძილზე დაახლოებით 80 პროცენტით.

მკვეთრად ამაღლდეს მანქანათმშენებლობის საწარმოთა ტექნიკური დონე. მნიშვნელოვნად განახლდეს და მოდერნიზებულ იქნას ლითონდამმუშავებელი მოწყობილობის პარკი. გაფართოვდეს ახალი პროგრესული მეთოდების გამოყენება ნამზადთა წარმოებისათვის მანქანათმშენებელ საწარმოებში. ფართოდ გაიშალოს სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და საცდელი სამუშაოები მოკლე ვადებში ახალი კონსტრუქციების მაღალი წარმადობის მანქანების შესაქმნელად.

გათვალისწინებულ იქნას, რომ მანქანათმშენებლობის უმნიშვნელოვანეს საწარმოებში შეიქმნას საექსპერიმენტო საამქროები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ლაბორატორიებით.

შემცირდეს ლითონის ხვედრითი ხარჯვა საშუალოდ სულ ცოტა 22 პროცენტით მანქანათა კონსტრუქციების გაუმჯობესების, მათი გაბარიტებისა და წონის შემცირების, ლეგირებული და მცირელეგირებული ფოლადების, მსუბუქ შენადნობთა, პლასტმასების, ნაგლინის ეკონომიური პროფილების გამოყენების გაფართოებისა და ზუსტი სხმულების და სამჭედლო ნამზადთა მიღების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით.

ჩარხმშენებლობაში სპეციალიზებული, სპეციალური და მრავალპოზიციური საგრეგატო ჩარხების წარმოება გადიდდეს 2,4-ჯერ, ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზების და მოწყობილობისა ავტომატური საამქროების და ქარხნებისათვის — დაახლოებით 5-ჯერ. გადიდდეს ხუთწლედის დამლევისათვის ყველაზე პროგრესული ჯგუფების ლითონსაჭრელი ჩარხების ხვედრითი წონა ჩარხების საერთო გამოშვებაში სულ ცოტა 50-მდე პროცენტით; გადიდდეს ხისდამმუშავებელი მრეწველობისათვის მოწყობილობის, მათ შორის ავტომატური ხაზების, ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხების წარმოება.

უზრუნველყოფილ იქნას მძიმე სამჭედლო-საწნეხე მანქანებისა და სამსხმელო მოწყობილობის წარმოების უფრო სწრაფი ზრდა ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოების ზრდასთან შედარებით. მნიშვნელოვნად გადიდდეს სამჭედლო-საწნეხე მოწყობილობის, განსაკუთრებით მძლავრი ჰიდრავლიკური, მექანიკური საჭედ-სატვიფრავი და საკვერავი წნეხების, ჰორიზონტალურ-საჭედი მანქანებისა და გადმოსასხმელი ავტომატების გამოშვება, მათ შორის ლითონის ელექტროგახურებით. გადიდდეს მძიმე სამჭედლო-საწნეხე მანქანების გამოშვება სულ ცოტა 4-ჯერ და სამსხმელო მოწყობილობისა — სულ ცოტა 8-ჯერ.

ამუშავდეს ლითონსაჭრელი მოწყობილობის, სამჭედლო-საწნეხე მანქანებისა და სამსხმელო მოწყობილობის წარმოების საჭირო სიმძლავრენი და უწინარეს ყოვლისა ავტომატური ხაზების, სპეციალური და საგრეგატო ჩარხების, ქარხნები.

მძიმე მანქანათმშენებლობაში უზრუნველყოფილ იქნას მაღალი წარმადობის, მთლიანად მექანიზებული და მაქსიმალურად ავტომატიზებული საგლინავი დგანებისა და უწინარეს ყოვლისა განუწყვეტელი გლინვის ფურცელსაგლინავი, სორტსაგლინავი და მილსაგლინავი დგანების, ღუნვადი პროფილების მწარმოებელი და პერიოდული გლინვის დგანების, მცირე და დიდი დიამეტრების ელექტროშედუღებული მილების მწარმოებელი აგრეგატების, გლინვის წარმოებაში შრომატევადი პროცესების სამექანიზაციო მოწყობილობის წარმოების ათვისება და გამოშვება. გადიდდეს ხუთწლედის მანძილზე საგლინავი მოწყობილობის გამოშვება 82 პროცენტით.

ათვისებულ იქნას 25 ტონამდე ტვირთამწეობის დიდი საშახტე ამწე მანქანების, სხვადასხვა გეოლოგიურ პირობებში მომუშავე ქვანახშირის კომბაინების, ისეთი ექსკავატორ-დრაგლაინების წარმოება, რომლებსაც აქვთ 25 კუბური მეტრი ტევადობის ციცხვი და 100 მეტრი სიგრძის ისარი. გადიდდეს ახალ სახეობათა ნავთობაპარატურის გამოშვება ნავთობის სიღრმივი გადამუშავებისათვის. განახლდეს არსებული და შეიქმნას ახალი უფრო სრულყოფილი საბურღავი მოწყობილობა და მაღალი წარმადობის გაზმოტკომპრესორები.

გადიდდეს ხუთწლედის მანძილზე ტორფის მრეწველობის მექანიზაციის მოწყობილობის გამოშვება სულ ცოტა 2-ჯერ.

ენერგეტიკულ მანქანათმშენებლობასა და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში გაუმჯობესდეს საქვაბე და სატურბინე აგრეგატებისა და ელექტრომოწყობილობის ხარისხი და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. უზრუნველყოფილ იქნას ორთქლის უფრო მაღალი პარამეტრების ახალი ენერგეტიკული მოწყობილობის წარმოების ათვისება და ორთქლის ტურბინების, ქვაბებისა და ელექტროსადგურთა სხვა მოწყობილობის მუშაობის კომპლექსური ავტომატიზაცია. შემუშავებულ იქნას 200 და 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინებისა და ამ ტურბინების ქვაბების, ორთქლის ტურბინების 300 ათას კილოვატამდე სიმძლავრის დიდი გენერატორების, რომლებსაც აქვთ გრაგნილის სპეციალური გაცივება, და ჰიდროელექტროსადგურთა მძლავრი გენერატორების კონსტრუქციები და ათვისებულ იქნას მათი წარმოება. მოეწყოს სტაციონარული და სატრანსპორტო გაზტურბინების დანადგართა, აგრეთვე მოძრავი გაზტურბინების ელექტროსადგურთა სერიული გამოშვება.

მოეწყოს 400 კილოვოლტზე მეტი ძაბვის ცვალებადი დენის ელექტრომოწყობილობის შესაქმნელად სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საექსპერიმენტო ბაზა; ათვისებულ და უზრუნველყოფილ იქნას ელექტრომოწყობილობისა და ელექტროაპარატურის გამოშვება მუდმივი დენის მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზებისათვის.

ათვისებულ იქნას 180 ტონამდე ტევადობის დიდი ელექტროფოლადსადნობი ღუმელების წარმოება, რომლებშიც ხდება ლითონის ელექტრომაგნიტური შერევა, აგრეთვე დახურულსაკერძიანი ელექტროღუმელების წარმოება ფეროშენადნობთა გამოსადნობად.

ათვისებულ იქნას ნახევრადგამტარ ძალგამმართველთა და ახალი სინთეზური ელექტროსაიზოლაციო მასალების წარმოება ელექტრომოწყობილობისათვის. მნიშვნელოვნად გაფართოვდეს კაჟორგანული და მინის იზოლაციის გამოყენება.

დაჩქარდეს ახალი თანამედროვე ტიპების მაღალვოლტიანი აპარატურის, მძლავრი მაღალვოლტიანი გამმართველებისა და ტრანსპორტის ელექტროფიკაციის, შავი და ფერადი მეტალურგიისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის საჭირო გამმართველების გამოსაშვებად საწარმოო ბაზის გაფართოება.

ყოველი ღონისძიებით განვითარდეს **რადიოტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა,** განსაკუთრებით ტექნოლოგიური პროცესების საკონტროლო და სარეგულაციო ხელსაწყოთა წარმოება. გადიდდეს ხუთწლედში ავტომატიზაციის ხელსაწყოთა და საშუალებათა კეთება დაახლოებით 3,5-ჯერ, მათ შორის ტექნოლოგიური პროცესების საკონტროლო და ავტომატური სარეგულაციო ხელსაწყოებისა — 4-ჯერ, საანგარიშო და საანგარიშო-საანალიზო მანქანებისა — 4,5-ჯერ, ელექტროსაზომი ხელსაწყოებისა — 3,6-ჯერ, ოპტიკურ-მექანიკური ხელსაწყოებისა — 3-ჯერ. გაფართოვდეს რადიოსაზომი ხელსაწყოების ნომენკლატურა და გადიდდეს მათი გამოშვება სულ ცოტა 3-ჯერ. გადიდდეს ელექტროვაკუუმური ხელსაწყოების გამოშვება 2,6-ჯერ.

განვითარდეს ხელსაწყოთმშენებლობის, რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის სამეცნიერო-საკვლევი და ლაბორატორიული ბაზა და მკვეთრად გაუმჯობესდეს მისი ტექნიკური აღჭურვილობა. გაძლიერდეს მუშაობა ავტომატური სწრაფმოქმედი გამოსათვლელი მანქანების კონსტრუირებისა და წარმოების დარგში რთული მათემატიკური ამოცანების გადასაწყვეტად და საანგარიშო-მათემატიკური მანქანებისა საწარმოო პროცესების მართვის ავტომატიზაციისათვის. გადიდდეს ხელსაწყოთა სიზუსტე და გაუმჯობესდეს მათი ხარისხი. უზრუნველყოფილ იქნას შემუშავება ავტომატიკის ახალი საშუალებისა, რომლებსაც საფუძვლად უდევს ფიზიკის, ელექტრონიკისა და რადიოტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გამოყენება. ფართოდ გაჩაღდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ნახევრადგამტარი ხელსაწყოების დარგში და გაფართოვდეს მათი პრაქტიკული გამოყენება.

ხუთწლედის დამლევისათვის გადიდდეს ლუმინესცენციური ნათურების წარმოება 10-15-ჯერ და კრიპტონის სავსიანი ნათურებისა—წელიწადში 100 მილიონ ცალამდე.

გაფართოვდეს აპარატურის წარმოება რადიორელეს და კაბელის მრავალარხიანი ხაზებისათვის, კავშირგაბმულობის პროცესთა ავტომატიზაციის აპარატურის, რადიოკავშირგაბმულობის და სადენის კავშირგაბმულობის, აგრეთვე ავტომატური ტელეფონის სადგურების აპარატურის წარმოება.

მთელი მრეწველობის დანიშნულების ხელსაწყოთა კეთების საწარმოო ბაზის გასაფართოებლად მეექვსე ხუთწლედში აშენდეს და ამუშავდეს 32 ხელსაწყოთმშენებელი ქარხანა.

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაში განვითარდეს ელექტრომავალთა და თბომავალთა წარმოება და შეწყდეს სამაგისტრალო ორთქლმავალთა გამოშვება; შეიქმნას გაზტურბინმავლები. მოეწყოს ახალი, მძლავრი თბომავლის, გემის დიზელებისა და სტაციონარული დიზელების სერიული წარმოება. ათვისებულ იქნას სერიული წარმოება სამაგისტრალო ელექტრომავლებისა, რომლებიც ენერგიას იღებენ სამრეწველო სიხშირის ცვალებადი დენის ქსელიდან. შემუშავებულ იქნას უნივერსალური სატვირთო ვაგონების, ნახევარვაგონებისა და 90-100 ტონა ტვირთამწეობის დუმპკარების, აგრეთვე ცემენტსაზიდების კონსტრუქციები და ათვისებულ იქნას მათი გამოშვება. უზრუნველყოფილ იქნას გორვის საკისრებიანი ახალი ლოკომოტივებისა და ვაგონების და ისეთი სამგზავრო ვაგონების მნიშვნელოვანი ოდენობით გამოშვება, რომლებსაც აქვთ ჰაერის კონდიციონირების დანადგარები.

საავტომობილო მრეწველობაში გადიდდეს სატვირთო ავტომობილების გამოშვება რაოდენობის მიხედვით დაახლოებით 32 პროცენტით (საერთო ტვირთამწეობის მიხედვით 45 პროცენტით), ავტობუსებისა — 88 პროცენტით, მსუბუქი ავტომობილებისა — 86 პროცენტით, ავტომობილისა და ტრაქტორის მისაბმელებისა — 4,3-ჯერ და ავტომობილის სათადარიგო ნაწილებისა — 2,2-ჯერ. შეიცვალოს ავტომობილების, ავტობუსებისა და ძრავების მოძველებული მოდელები უფრო მაღალი საექსპლოატაციო მაჩვენებლების მქონე ახალი მოდელებით. მოეწყოს 40-50 ტონამდე ტვირთამწეობის თვითსაცლელი ავტომობილების წარმოება. გადიდდეს მაღალი გავლადობის ავტომობილების, სპეციალიზებული სატვირთო ავტომობილებისა და სხვადასხვა დანიშნულების სრულყოფილი ავტომისაბმელებისა და ნახევრადმისაბმელების წარმოება.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში გადიდდეს სათოხნი ტრაქტორების გამოშვება დაახლოებით 2,7-ჯერ, გაუმჯობესდეს ტრაქტორების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, შემუშავებულ იქნას და წარმოებაში დაინერგოს ახალი ტიპების უფრო ეკონომიური და ნაკლებად ლითონტევადი მუხლუხა და თვლიანი ტრაქტორები და თვითმავალი შასები.

უზრუნველყოფილ იქნას ჰიდრომექანიზმებიანი ტრაქტორების წარმოება, ათვისებულ იქნას 140 და 250 ცხენძალის სიმძლავრის ტრაქტორების წარმოება მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის.

განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება მემცენარეობის, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ზონის პირობებთან შეფარდებით. უზრუნველყოფილ იქნას ტრაქტორების საკიდი და ნახევრადსაკიდი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ფართო ნომენკლატურით შემუშავება და დაინერგვა წარმოებაში, რათა მიმდინარე ხუთწლედში ძირითადად შემოღებულ იქნას საკიდი და ნახევრადსაკიდი მანქანების და იარაღების გამოშვება, დაინერგოს მისაბმელი მანქანების კონსტრუქციაში მექანიზმები, რომლებითაც ამ მანქანებს უშუალოდ მართავს ტრაქტორისტი.

მნიშვნელოვნად გაფართოვდეს წარმოება მარცვლეული კულტურების ცალფალა ასაღები მანქანებისა — მწკრივეული სამკალი მანქანებისა (ვინდროუერებისა), აგრეთვე შემგროვებლებისა მარცვლეულის კომბაინებისათვის.

გადიდდეს წარმოება მანქანებისა და იარაღებისა მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის, წარმოება წნეხ-შემგროვებლებისა და შემგროვებელ-დამზვინავი და სხვა მანქანებისა საკვების დასამზადებლად, მანქანებისა სასუქების შეტანისათვის, სარეველა მცენარეთა წინააღმდეგ და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა ფართოდ გამოყენებისათვის, აგრეთვე დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მექანიზმებისა.

წარმოებაში დაინერგოს ახალი ტიპების მისაბმელი, თვითმავალი და უწყვეტი მუშაობის მარცვლეულის კომბაინები, განსაკუთრებით უხვმოსავლიანი გრძელეროიანი კულტურების ასაღებად, გადიდებული ტენიანობის რაიონებში მუშაობისათვის, აგრეთვე სიმინდის ასაღები, ბამბისსაკრეფი, კარტოფილასაღები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

საერთო მანქანათმშენებლობის დარგებში მნიშვნელოვნად გაფართოვდეს დიდი წარმადობის მოწყობილობის გამოშვება ქიმიური მრეწველობისათვის. ათვისებულ იქნას შავი მეტალურგიისათვის საათში 10-30 ათასი კუბური მეტრი სიმძლავრის ჟანგბადის დანადგარები.

ათვისებულ იქნას ახალი დიდი წარმადობის ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოება ელექტროვაკუუმის, კაბელის, ელექტროტექნიკური და ქაღალდის მრეწველობისათვის; მოეწყოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობისათვის ახალი საქსოვი ავტომატების, ქსოვილების განუწყვეტელი გამოყვანის აგრეგატების, ხელოვნური ბოჭკოსა და ტყავის წარმოების კომპლექსური აგრეგატებისა და უფრო დიდი სიჩქარით მომუშავე სხვა მოწყობილობის გამოშვება. გადიდდეს ახალ სახეობათა ავტომატური მოწყობილობის გამოშვება კვების მრეწველობისათვის, სამაცივრო მოწყობილობისა და გემებზე და თევზგადამამუშავებელ საწარმოებში თევზის დამუშავების მექანიზაციის მოწყობილობა.

მნიშვნელოვნად განვითარდეს **სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობა.** გადიდდეს ექსკავატორების გამოშვება დაახლოებით 3-ჯერ, ავტოგრეიდერებისა — 4-ჯერ, კომპლექტური მოწყობილობისა რკინაბეტონის ნაწარმის დასამზადებლად — 5-ჯერ, მოწყობილობისა დიდი საკედლე და ბეტონის ბლოკების წარმოებისათვის

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

— 10-ჯერ. გაფართოვდეს დიდი წარმადობის კომპლექტური მოწყობილობის წარმოება ცემენტის მრეწველობისათვის და ბეტონის ავტომატიზებული ქარხნებისათვის, აგრეთვე მექანიზებული სამშენებლო ინსტრუმენტისა.

გემთმშენებლობაში გადიდდეს ხუთწლედში საზღვაო მშრალი ტვირთის გემებისა და ტანკერების გამოშვება 30 და მეტი პროცენტით, თევზსარეწაო და მისაღებ-სატრანსპორტო გემებისა დაახლოებით 3,9-ჯერ. მნიშვნელოვნად გადიდდეს საზღვაო თვითმავალი სატვირთო გემების სიჩქარე და ტვირთამწეობა. უზრუნველყოფილ იქნას 5-10 ათასი ტონა ტვირთამწეობის თანამედროვე საზღვაო მშრალი ტვირთის თბომავლების, 20-25 ათასი ტონა ტვირთამწეობის ტანკერების, მდინარისა და ტბის 1.200-2.200 ცხენის ძალის სიმძლავრის ბუქსირების, 600-1.200 ცხენის ძალის სიმძლავრის სამგზავრო თბომავლების, სწრაფმავალი ვეშაპსანადირო გემების, აგრეთვე დიდი საზღვაო ვეშაპსანადირო ბაზების, ტრაულერებისა ტრიუმების რეფრიჟერაციით, ქაშაყის ბაზების, საზღვაო სამგზავრო გემებისა და ხე-ტყის საზიდების წარმოება. მოეწყოს საზღვაო გემების მსხვილსერიული გამოშვება თევზის გასაყინავი დანადგარებით და ტრიუმების რეფრიჟერაციით და გაფართოვდეს რკინაბეტონის გემების წარმოება.

17. **საშენი მასალების მრეწველობის** დარგში მთავარ ამოცანად ჩაითვალოს ისეთი მასალებისა და ნაწარმის წარმოების ფართო განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ აწყობის მაღალ დონეს, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებას და ღირებულების შემცირებას, რისთვისაც გათვალისწინებულ იქნას ცემენტის, ასაწყობი რკინაბეტონის ნაწარმისა და საკედლე ბლოკების, სატიხარო ნაწარმის, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობისა და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების დიდი ზრდა. გადიდდეს 1960 წელს 1955 წელთან შედარებით ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება დაახლოებით 5,8-ჯერ, კირისა — 2,1-ჯერ, რბილი სახურავისა — 1,9-ჯერ, საკედლე მასალებისა — 2,4-ჯერ და არამადნეული საშენი მასალებისა — 1,8-ჯერ.

გაფართოვდეს მაღალი მარკების მალმყარებადი ცემენტის წარმოება. გადიდდეს რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნების წარმადობა ქარხნების სპეციალიზაციისა და წარმოების პროცესების გაუმჯობესების გზით. მოეწყოს თხელკედლიანი, ღრუ და დაძაბულ-არმირებული რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, აგრეთვე რკინაბეტონის მილების მასობრივი გამოშვება. მოეწყოს საშენი მასალების წარმოება ვიბრაციულ წისქვილებში დაწვრილმანებული ნედლეულისაგან. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს საკედლე და მოსაპირკეთებელი მასალების, შიფრის, რბილი სახურავის, ფანჯრის მინისა და სანიტარულ-ტექნიკური ნაწარმის ხარისხი.

ლიკვიდირებულ იქნას ჩამორჩენა ქვის, ღორღის, ხრეშისა და სილის მოპოვებასა და გადამუშავებაში. აშენდეს დიდი რაიონული სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნები ღორღის წარმოებისათვის; დაინერგოს არამადნეული საშენი მასალების გამდიდრება და ფრაქციონირება და შემცირდეს მათი თვითღირებულება.

ადგილობრივ საშენ მასალებზე კოლმეურნეობათა მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს განავითარონ საკედლე მასალების, კრამიტის, კირის, ლელის ფილებისა და სხვა ადგილობრივი საშენი მასალების საჭირო რაოდენობით წარმოება.

18. უზრუნველყოფილ იქნას **სატყეო მრეწველობის** შემდგომი განვითარება. სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრომ გაადიდოს სამასალე მერქნის გამოზიდვის მოცულობა ხუთწლედში დაახლოებით 42 პროცენტით, რისთვისაც აამუშაოს საწარმოო სიმძლავრენი ხე-ტყის გამოსაზიდავად 82 მილიონი კუბური მეტრის მოცულობით, გაძლიერდეს ხე-ტყის დამზადების განვითარებისა და ხე-ტყის სახერხი ქარხნების მშენებლობის ტემპი უხვტყიან რაიონებში. 1955-1960 წლებში ამუშავდეს სიმძლავრენი დახერხილი მასალების წარმოებისათვის 16,5 მილიონი კუბური მეტრის რაოდენობით. განხორციელდეს სეზონური მოქმედების სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა გარდაქმნა მთელი წლის განმავლობაში მუშაობის საწარმოებად, რომლებსაც ეყოლებათ მუშების მუდმივი კადრები. მკვეთრად გაუმჯობესდეს მოწყობილობის გამოყენება სატყეო მრეწველობაში და აღიჭურვოს იგი უფრო დიდი წარმადობის მანქანებითა და მექანიზმებით.

19. გათვალისწინებულ იქნას **ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის** მნიშვნელოვანი განვითარება. გადიდდეს სასტამბო ქაღალდის წარმოება დაახლოებით 60 პროცენტით და გაზეთის ქაღალდისა — 51 პროცენტით, მუყაოსი — 2,8-ჯერ, ჰიდროლიზური და სულფიტის სპირტისა — 2,3-ჯერ. გაფართოვდეს თხელი საბეჭდი და სახვევი სორტების ქაღალდის წარმოება, ათვისებულ იქნას ახალსახეობათა ტარა-შესაფუთავი ქაღალდისა და მუყაოს გამოშვება. დაინერგოს ცელულოზის, ნახევრადცელულოზისა და მერქნის ჰიდროლიზის ხარშვის პროგრესული მეთოდები.

აშენდეს ახალი ცელულოზის ქარხნები და მუყაოს ფაბრიკები ლელის გამოყენების ბაზაზე.

გადიდდეს ფოთლოვანი ჯიშების მერქნისა და ხის იმ ნარჩენის გამოყენება, რომელსაც ვიღებთ ხე-ტყის სახერხ, ხისდამმუშავებელ მრეწველობაში და ხე-ტყის დამზადებაზე, ცელულოზ-ქაღალდის, სატყეო-ქიმიური და ჰიდროლიზური მრეწველობის პროდუქციის გამოსამუშავებლად, აგრეთვე მერქან-ბოჭკოს ფილების, საშენი დეტალებისა და ხელოვნური დახერხილი მასალების წარმოებისათვის.

20. **მსუბუქი მრეწველობის** დარგში გათვალისწინებულ იქნას ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების შემდგომი გადიდება, უზრუნველყოფილ იქნას სამრეწველო საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის, აგრეთვე გარეგანი გამოყვანის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

გადიდდეს ხაოიანი, მელანქის, სასაბნე, დეკორაციულ-საავეჯე ბამბის ქსოვილების, წმინდა შალის კამვოლური ქსოვილების, ჟაკარდის ქსოვილების, შტაპელის ბოჭკოს საკოსტიუმე და საკაბე ქსოვილების მაღალხარისხოვანი წინდების, აბრეშუმის ტრიკოტაჟის საცვლების, შალისა და შალნარევი ზედა ტრიკოტაჟის, სამკერვალო ნაწარმისა და სხვადასხვა მოდელის და ფასონის ფეხსაცმლის გამოშვება.

ფართო მასშტაბით მოეწყოს ხელოვნური ბოჭკოს წარმოება და გადიდდეს მისი გამოშვება 1960 წელს 330 ათას ტონამდე, აქედან კაპრონის, ქლორინის, ანიდის, ლავსანისა და ნიტრონის ტიპების სინთეზური ბოჭკოებისა 44 ათას ტონამდე, ანუ 5-ჯერ 1955 წელთან შედარებით. უზრუნველყოფილ იქნას 1960 წელს მინის ბოჭკოს გამოშვება 5 ათასი ტონის რაოდენობით და ხელოვნური საპირე ტყავისა — 51 მილიონი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

გაფართოვდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ხელოვნური ბოჭკოების, კერძოდ სინთეზური ბოჭკოს წარმოებისა და გადამუშავების დარგში, აგრეთვე ეკონომიური ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება, რომლებიც ამცირებენ წარმოების ციკლსა და ნედლეულის ხარჯს. მნიშვნელოვნად შემცირდეს ნედლეულის დანაკარგები საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში.

1956-1960 წლებში კაპიტალური მშენებლობის გზით ამუშავდეს დაახლოებით 3.166 ათასი სართავი თითისტარი, 95 ათასი საქსოვი დაზგა, აგრეთვე სიმძლავრენი 255 ათასი ტონა ხელოვნური ბოჭკოსი და 85 მილიონი წყვილი ფეხსაცმლის წარმოებისათვის.

21. **კვების მრეწველობის** დარგში გათვალისწინებულ იქნას სასურსათო საქონლის წარმოების შემდგომი გადიდება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მზარდი რესურსების შესაბამისად, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება, შეფუთვისა და დაფასოების საუკეთესო სახეობათა დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ სასურსათო საქონლის ხარისხის დაცვას.

გადიდდეს ერბო-კარაქის გამომუშავება 56 პროცენტით და რძის პროდუქტებისა — 2,7-ჯერ.

შაქრისა და მცენარეული ზეთის დამატებითი რესურსების მიღების მიზნით უზრუნველყოფილ იქნას 1956-1960 წლებში შაქრის ჭარხლის ბადაგის გაუშაქრიანების სეპარაციული ხერხებისა და ზეთოვანი თესლისაგან ზეთის მიღების ექსტრაქციული მეთოდის ფართოდ დანერგვა.

გაშლილ ზღვაში აქტიური თევზჭერის უფრო ფართოდ განვითარების უზრუნველყოფისათვის განგრძობილ იქნას მუშაობა თანამედროვე დიდი თევზსაჭერი გემებით თევზის მრეწველობის აღჭურვისათვის. აღიჭურვოს თევზის საზვერავი და საჭერი დიდი გემები რადიოსანავიგაციო და ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყოებით, აგრეთვე უახლესი მოწყობილობით თევზის ჭერისა და დამუშავების მექანიზაციისათვის. უზრუნველყოფილ იქნას თევზის მრეწველობა თევზსაჭერი ტრაულერებით, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან სამაცივრო დანადგარებითა და თევზის დასამუშავებელი მოწყობილობით, რაც შესაძლებელს გახდის პროდუქციის გემებზე შემზადებას და ნავსადგურებში რეალიზაციისათვის მზა სახით მიტანას.

ჩვენი ქვეყნის წყალსატევებში თევზის მარაგის შენარჩუნებისა და გადიდებისათვის დიდი მასშტაბებით განხორციელდეს თევზმომშენებლობისა და მელიორაციის სამუშაოთა კომპლექსი იმის გათვალისწინებით, რომ გაუმჯობესდეს თევზის მარაგის მომრავლების ბუნებრივი პირობები, შემდგომ განვითარდეს სამრეწველო თევზმომშენებლობა და განხორციელდეს ძვირფასი სარეწაო თევზის აკლიმატიზაცია.

უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულისა და მზა პროდუქციის დანაკარგის მნიშვნელოვანი შემცირება ქვების მრეწველობის ყველა დარგში.

მეექვსე ხუთწლედის მანძილზე კაპიტალური მშენებლობის გზით ამუშავდეს საწარმოო სიმძლავრენი დაახლოებით შემდეგი ოდენობით: ღეღმამენში 708 ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხლისა და 2.335 ტონა ზეთის თესლის გადამუშავებისათვის; წელიწადში 957 მილიონი ქილა ხილ-ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების და 300 მილიონი ქილა თევზის კონსერვების გამომუშავებისათვის, ცვლაში 2.279 ტონა ხორცის, 313 ათასი ქილა ხორცის კონსერვებისა და 379 ათასი ქილა რძის კონსერვების დამზადებისათვის და ცვლაში 2.350 ტონა რძის ყველად და ერბო-კარაქად გადამუშავებისათვის.

II. საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია

1. შემდგომი ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომის პირობების შემსუბუქების მიზნით მკვეთრად გაძლიერდეს სამუშაოთა მექანიზაციის ტემპები და მრეწველობაში ფართო მასშტაბით დაინერგოს საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია.

მრეწველობის ყველა დარგში დიდი ოდენობით განხორციელდეს ძირითად და დამხმარე სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას.

განხორციელდეს გადასვლა ცალკეული აგრეგატებისა და ოპერაციების ავტომატიზაციიდან საამქროების, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციაზე და სავსებით ავტომატიზებული საწარმოების შექმნაზე. უზრუნველყოფილ იქნას ენერგოსისტემებში, ნავთობსარეწებზე და სხვა წარმოებებში მოწყობილობის დისტანციური მართვის და კონტროლისა და მართვის ტელემექანიზაციის შემდგომი დანერგვა.

2. საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ განვითარების დარგში დასახულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ამავე დროს განხორციელდეს საჭირო სამუშაოები ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. ამასთან მნიშვნელოვნად გადიდდეს წარმოების განუწყვეტელი და ნაკადური მეთოდების ხვედრითი წონა, მიღწეულ იქნას სამუშაოთა შრომატევადობის შემცირება სამამულო და საზღვარგარეთის ტექნიკის საუკეთესო მიღწევების დონემდე. უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საჭირო საშუალებებით და ხელსაწყოებით; სერიოზულად გაუმჯობესდეს არსებული მოწყობილობისა და მექანიზმების გამოყენება.

3. გათვალისწინებულ იქნას საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდეგი ძირითადი დავალებანი მრეწველობის დარგების მიხედვით.

შავ მეტალურგიაში — მნიშვნელოვანი ოდენობით განხორციელდეს მარტენის ღუმელების მართვის ავტომატიზაცია, საგლინავი, კოქსქიმიური, ცეცხლგამძლე და ლითონის ნაკეთობათა წარმოების, ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია და დაწყებულ იქნას ბრძმედების მართვის კომპლექსური ავტომატიზაცია. განხორციელდეს სულ ცოტა 40 მოქმედი საგლინავი და მილსაგლინავი დგანის ავტომატიზაცია. განხორციელდეს მიწისქვეშა ტრანსპორტის გადაყვანა დისპეტჩერული მართვაზე და ძირითადი მანქანებისა და მექანიზმების დისტანციური მართვა მიწისქვეშა სამუშაოებზე და ზედაპირზე რკინის მადნისა და მარგანეცის დიდ შახტებში; დაინერგოს საწარმოო პროცესების კომპლექსური ავტომატიზაცია შავი მეტალურგიის გამამდიდრებელ ფაბრიკებში.

ფერად მეტალურგიაში — დამთავრდეს არეკლვითი და სარაფინირო ღუმელების ავტომატიზაცია სპილენძის მრეწველობაში; ავტომატიზებულ იქნას შახტის და მილოვანი ღუმელები ტყვია-თუთიის, ნიკელის მრეწველობასა და იშვიათი ლითონების მრეწველობაში; დიდ გამამდიდრებელ ფაბრიკებში დაინერგოს მსხვრევის, დაწვრილმანების, ფლოტაციის პროცესების კომპლექსური ავტომატიზაცია, აგრეთვე ფერადი მეტალურგიის ძირითად სამადნეებში განხორციელდეს საწარმოო პროცესების კონტროლის ავტომატიზაცია და მადნის აწმენდისა და გატანის პროცესების დისტანციური მართვა, სკიპური აწევისა და დამხმარე დანადგარების მუშაობა.

ქვანახშირის მრეწველობაში — ქვანახშირის ამოღების კომპლექსური მექანიზაციის განსახორციელებლად ფართოდ დაინერგოს ასაწმენდ სანგრევებში სახურავის მართვისა და კონვეიერების მოძრაობის მექანიზაცია, უზრუნველყოფილ იქნას ქვანახშირის აწმენდის მექანიზაციის შემდგომი განვითარება დამრეცი და შვეული ფენების დამუშავების დროს და იგი პირველ რიგში დამთავრდეს დონეცის, კუზნეცკისა და ყარაგანდის აუზებში. დამთავრდეს მოსამზადებელი გვირაბების გაყვანისას ქვანახშირისა და ქანის დატვირთვის მექანიზაცია. უზრუნველყოფილ იქნას ავტომატიზაციის და მანქანებისა და მექანიზმების დისტანციური მართვის ყოველი ღონისძიებით გაფართოება მიწისქვეშა სამუშაოებზე, შახტების ზედაპირზე და გამამდიდრებელ ფაბრიკებში. განხორციელდეს ქვანახშირის ჭრილებში სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია მძლავრი მოწყობილობის გამოყენებით. მნიშვნელოვნად გადიდდეს ხვედრითი წონა სამთო გამონამუშევართა გამაგრებისა ლითონის და რკინაბეტონის ბიგებით და უზრუნველყოფილ იქნას სამაგრი ხე-ტყის ხარჯვის შემცირება.

დამთავრდეს სამუშაოები ფრეზერული ტორფის ამოღების კომპლექსური მექანიზაციის, აგრეთვე ბელტოვანი ტორფის ამოღების, გაფენის, აღებისა და დატვირთვის, ჭაობ-მოსამზადებელ და დამხმარე სამუშაოთა მექანიზაციის დარგში.

ნავთობის მრეწველობაში — ფართო მასშტაბებით განხორციელდეს ჩაშვება-აწევის ოპერაციების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ნავთობის ჭაბურღილების ბურღვის დროს; დამთავრდეს ნავთობის ამოღებისა და ტრანსპორტირების სამუშაოთა ავტომატიზაცია; ფართოდ დაინერგოს პროცესების კონტროლისა და მართვის ავტომატიზაცია მოქმედ ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებში და კომპლექსური ავტომატიზაცია იმ ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებში, რომლებიც ახლა შენდება. განხორციელდეს ნაწილობრივი გადასვლა ნავთობის და წყლის ამოსაღები ჭაბურღილებისა და ნავთობგაზსადენების დისტანციურ კონტროლსა და ცენტრალიზებულ მართვაზე. მექანიზებულ იქნას კოშკურების სამონტაჟო სამუშაოები ჭაბურღილების მშენებლობისას და გამოყენებულ იქნას ასაწყობ-დასაშლელი და გადასატანი ნაგებობანი ძიებაზე.

ელექტროსადგურების ხაზით — დამთავრდეს ჰიდროელექტროსადგურების ტელემექანიკური მართვის სამუშაოები; 2-3 წლის განმავლობაში ტელემართვაზე გადაყვანილ იქნას ძირითადი ენერგეტიკული სისტემები და დიდი ქვესადგურები. გათვალისწინებულ იქნას მართვის კომპლექსური ავტომატიზაციის განხორციელება ყველა თბოელექტროსადგურში, რომელთა მშენებლობა მეექვსე ხუთწლედში იწყება.

მანქანათმშენებლობაში — მნიშვნელოვნად გაფართოვდეს საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, პირველ რიგში სამსხმელო და სამჭედლო-საწნეხე წარმოებაში. განხორციელდეს თერმიული ღუმელების თბორეჟიმების სრული ავტომატიზაცია მსხვილსერიულ და მასობრივ წარმოებაში; შეიქმნას კომპლექსური მექანიზებული სამსხმელო საამქროები გამოსადნობი მოდელების მიხედვით. მეექვსე ხუთწლედში ამუშავდეს სულ მცირე 220 ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზი და საამქრო.

ელექტროტექნიკურ მრეწველობაში — დაინერგოს ელექტროძრავების აწყობის ავტომატიზაცია და კაბელების წარმოების სამუშაოთა მექანიზაცია.

რადიოტექნიკურ მრეწველობაში — უზრუნველყოფილ იქნას რადიოაპარატურისა და ვაკუუმის ხელსაწყოების მასობრივი დეტალების წარმოების ფართო მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ქიმიურ მრეწველობაში — დაწყებულ იქნას საამქროებისა და ქარხნების და პირველ რიგში გოგირდმჟავას და აზოტმჟავას და კალცინირებული სოდის დამამზადებელი ქარხნების კომპლექსური ავტომატიზაცია; აშენდეს და ამუშავდეს გოგირდმჟავას დამამზადებელი ავტომატიზებული საამქრო.

მშენებლობაში — ძირითადად დამთავრდეს მიწის, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა, აგრეთვე კონსტრუქციების მონტაჟის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია; ყოველი ღონისძიებით განვითარდეს მოსაპირკეთებელ და სხვა სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია.

საშენი მასალების მრეწველობაში — განხორციელდეს არამადნეული საშენი მასალების ამოღების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. ფართო მასშტაბებით დაინერგოს წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია ცემენტის მრეწველობაში, ნაკადურ-მექანიზებული პროცესები შიფერის, კერამიკული ნაწარმის, რადიატორების, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობისა და სხვა ნაკეთობათა წარმოებაში.

სატყეო მრეწველობაში — დამთავრდეს ხე-ტყის დამზადების ძირითად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია და ფართოდ იქნას მექანიზებული დამხმარე სამუშაოები; მერქნის დამუშავების მეტი წილი შრომატევადი და მძიმე სამუშაოები გადატანილ იქნას ტყისაკაფებიდან ხე-ტყის საზიდი გზების ქვედა საწყობებში და ხე-ტყის გადასატვირთავ ბაზებში; ფართო მასშტაბებით განხორციელდეს სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია ქვედა საწყობებში. ხე-ტყის გამოზიდვაზე დაინერგოს დიდი ტვირთამწეობისა და მაღალი გავლადობის ავტოსაწევრები და ავტომობილები. ხე-ტყის დამზადებაზე შეიქმნას მტკიცე ენერგეტიკული ბაზა ხის ნარჩენებით მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობის გზით.

ქაღალდის და ხისდამმუშავებელ მრეწველობაში — ავტომატიზებულ იქნას ცელულოზ-ქაღალდისა და ჰიდროლიზური წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები; განხორციელდეს ამ წარმოების უბნებისა და საამქროების კომპლექსური ავტომატიზაცია; შეიქმნას და დაინერგოს ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზები ავეჯის წარმოებაში.

საფეიქრო მრეწველობაში — ხუთწლედის განმავლობაში ავტომატური საფეიქრო დაზგების პარკი აყვანილ იქნას საფეიქრო დაზგების საერთო რაოდენობის დაახლოებით 60 პროცენტამდე; დაინერგოს ქსოვილების გამოყვანის ნაკადურ-აგრეგირებული ხერხები საწარმოო პროცესების ავტომატური მართვით, აგრეთვე შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია საფეიქრო საწარმოებში; დამთავრდეს შრომატევად და მძიმე სამუშაოთა მექანიზაცია ბამბის საწმენდ ქარხნებსა და ბამბის დამამზადებელ პუნქტებში.

ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობაში — უზრუნველყოფილ იქნას ხელით შესასრულებელი ოპერაციების შემდგომი შემცირება და დაინერგოს ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზები ტყავის ნედლეულის დამუშავებასა და ფეხსაცმლის წარმოებაში.

კვების მრეწველობაში — გაფართოვდეს თევზის ჭერისა და დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია, უზრუნველყოფილ იქნას თევზის ყველა ქარხნის გადაყვანა თევზის მექანიზებულ მიღებასა და დამუშავებაზე, დაინერგოს სულ მცირე 600 ავტომატური ხაზი თევზის გადამუშავებაში.

მოეწყოს სულ მცირე 400 ნაკადური ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზი საკონდიტრო ნაწარმისა და პურ-ფუნთუშეულის წარმოებაში.

დამთავრდეს მსხვილი და საშუალო ხორცკომბინატების გადაყვანა პირუტყვის გადამუშავების მექანიზებულ ნაკადურ წესზე, რისთვისაც ხუთწლედის განმავლობაში მოეწყოს 400 კონვეიერული ხაზი. დაინერგოს 1.500 ავტომატური ნაკადური ხაზი კარაქის წარმოებაში.

4. საჭიროდ ჩაითვალოს მრეწველობის ყველა დარგში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის პერსპექტიული გეგმის შემუშავება იმ მიზნით, რომ ამ დარგში სამუშაოები ხორციელდებოდეს გეგმაშეწონილად და სამრეწველო საწარმოები უზრუნველყოფილ იქნან ავტომატიზაციისათვის საჭირო ხელსაწყოებითა და მოწყობილობით.

III. სპეციალიზაცია და კოოპერირება მრეწველობაში

1. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარების, წარმოების ხარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით მეექვსე ხუთწლედში უზრუნველყოფილ იქნას სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაფართოება მრეწველობაში, ამასთან იმ საწარმოებში, სადაც სპეციალიზაცია ხორციელდება, მოეწყოს მასობრივ-ნაკადური წარმოება. უზრუნველყოფილ იქნას სპეციალიზებულ საწარმოებში სტანდარტიზებული, ნორმალიზებული და უნიფიცირებული დეტალების, კვანძებისა და ნაკეთობათა წარმოება უახლესი ტექნოლოგიით, განხორციელდეს სამინისტროებსა და ცალკეულ საწარმოებს შორის დარგების, საწარმოების და დეტალთა, კვანძთა და ნაკეთობათა წარმოების რაციონალურად განაწილება.

შეიქმნას სპეციალიზებული საწარმოები ქვეყნის სხვადასხვა ეკონომიურ რაიონებში, ამავე დროს გათვალისწინებულ იქნას საწარმოთა კოოპერირების განხორციელება ეკონომიური რაიონების და მსხვილი სამრეწველო ცენტრების ფარგლებში.

2. სამრეწველო საწარმოთა უზრუნველსაყოფად თუჯისა და ფოლადის სხმულით გათვალისწინებულ იქნას მეექვსე ხუთწლედში მშენებლობა 23 სპეციალიზებული, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სამსხმელო ქარხნისა, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება 1.500 ათასი ტონა სხმული წელიწადში, და სპეციალიზებული სამსხმელო საამქროებისა, აქედან აშენდეს:

ცენტრის რაიონებში — სულ მცირე 3 სამსხმელო ქარხანა, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება 110 ათასი ტონა სხმული წელიწადში, და სპეციალიზებული საამქრო წელიწადში 40 ათასი ტონა სხმულის სიმძლავრით ჩებოქსარის ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების ქარხანაში;

ურალში — 4 სამსხმელო ქარხანა წელიწადში 200 ათასი ტონა ჩამონასხამის საერთო სიმძლავრით;

დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის რაიონებში — 6 სპეციალიზებული სამსხმელო ქარხანა, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება 400 ათასი ტონა სხმული წელიწადში;

ყაზახეთის რაიონებში — 3 სამსხმელო საამქრო, აქედან ორი საამქრო წელიწადში 45 ათასი ტონა ფოლადისა და თუჯის სხმულის სიმძლავრით მშენებლობის პროცესში მყოფ პეტროპავლოვსკის საგლინავი მოწყობილობის ქარხანაში და წელიწადში 150 ათასი ტონა სხმულის სიმძლავრის ერთი საამქრო მშენებლობის პროცესში მყოფ პავლოდარის კომბაინის ქარხანაში;

სამხრეთის რაიონებში — წელიწადში 70 ათასი ტონა სხმულის სიმძლავრის სპეციალიზებული ფოლადის სხმულის საამქრო კრემენჩუგში.

გარდა ამისა, 1956-1958 წლებში მოეწყოს ფოლადის, თუჯისა და ალუმინის სხმულის წარმოების რაიონული საბაზო საამქროები, აგრეთვე ტვიფრვის და კვერვის და ნახევრადთხევადი ტვიფრვის მეთოდებით სამჭედლო ნამზადთა წარმოების საამქროები და შეიქმნას 13 ქარხანაში სპეციალიზებული საამქროები, რომლებიც გამოუშვებენ სხმულს წნევით, სიცხეგამძლე და პრეციზიულ ფოლადის სხმულს.

მსხვილი სპეციალიზებული სამსხმელო და სამჭედლო-საწნეხე საამქროების მშენებლობა განხორციელდეს იმ ვარაუდით, რომ სხმულის, ნაჭედის და ნატვიფრის გამომშვებ სიმძლავრეთა განვითარება უსწრებდეს მანქანათმშენებელი ქარხნების მექანიკურად დამმუშავებელი საამქროების სიმძლავრეთა ზრდას.

3. იმ მიზნით, რომ სახალხო მეურნეობა უზრუნველყოფილ იქნას მსხვილი და უნიკალური ნაჭედით მძლავრი ტურბინების, გენერატორების, საგლინავი დგანების, საფშვნელ-საფქვავი და სხვა მოწყობილობის დასამზადებლად, ხუთწლედის განმავლობაში აგებულ იქნას წელიწადში 120 ათასი ტონა ნაჭედის სიმძლავრის სამჭედლო-საწნეხე ქარხანა ურალში და წელიწადში 95 ათასი ტონა საერთო სიმძლავრის ორი სამჭედლო-საწნეხე საამქრო მშენებლობის პროცესში მყოფ პავლოდარის კომბაინის ქარხანასა და საგლინავი მოწყობილობის პეტროპავლოვსკის ქარხანაში.

4. აიკრძალოს წვრილი სამსხმელო და სამჭედლო-საწნეხე საამქროების მშენებლობა მანქანათმშენებელ ქარხნებში, რომლებიც განლაგებულია იმ რაიონებში, სადაც არის ან შენდება სპეციალიზებული სამსხმელო და სამჭედლო-საწნეხე ქარხნები და საამქროები.

სამსხმელო და სამჭედლო-საწნეხე ქარხნების და საამქროების უახლესი მოწყობილობით უზრუნველსაყოფად ქვეყნის სხვადასხვა რაიონში აშენდეს სამსხმელო მოწყობილობის ახალი ქარხნები და სამსხმელო და სამჭედლო-საწნეხე საამქროების მექანიზაციის საშუალებათა დამამზადებელი ქარხნები.

5. მთლიანად დაკმაყოფილებულ იქნას სამრეწველო საწარმოთა მოთხოვნილება სტანდარტულ ინსტრუმენტზე, რისთვისაც ხუთწლედის განმავლობაში შეიქმნას ამ ინსტრუმენტის წარმოების საჭირო სიმძლავრეები სპეციალიზებულ ქარხნებსა და სპეციალიზებულ საამქროებში.

6. ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოება სპეციალიზებულ

(გაგრძელება მე-5 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

ქარხნებსა და საამქროებში 1960 წელს აყვანილ იქნას დაახლოებით 90 პროცენტამდე. ფართოდ დაინერგოს ავტომობილების რემონტის აგრეგატული მეთოდი სპეციალიზებულ ქარხნებში დამზადებული კვანძებისა და აგრეგატების გამოყენებით.

გადიდდეს სპეციალიზებულ ქარხნებში სამშენებლო მანქანების სათადარიგო ნაწილების გამოშვება სულ მცირე 4-ჯერ.

7. აშენდეს ლითონსაჭრელი და ხისდამამუშავებელი ჩარხების ახალი სპეციალიზებული ქარხნები, მათ შორის ავტომატური ხაზების, სპეციალური და აგრეგატული ჩარხების ქარხნები მინსკში, ტომსკში, კოსტრომასა და ვოლგოგრადში. ხუთწლედის განმავლობაში დაახლოებით 10-ჯერ გადიდდეს გასაწყობი ხელსაწყობების, სამარჯვებისა და სხვადასხვა აღჭურვილობის გამოშვება სპეციალიზებულ ქარხნებში.

გათვალისწინებულ იქნას დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში კბილანის, შლიცისა და კარდანის ლილვების, ავტომობილის ძრავებისა და თვლების, აგრეთვე ავტომობილის რადიატორების 6 სპეციალიზებული ქარხნის შენებლობა. აშენდეს და ამოქმედდეს მეტალურგიულ მრეწველობაში სპეციალიზებული საამქროები, რომლებიც გამოუშვებენ მაღალხარისხოვან ლითონის ნაკეთობასა და ფიტინგებს.

8. ქვეყნის სხვადასხვა ეკონომიურ რაიონში მოეწყოს სპეციალიზებული საწარმოები და საამქროები, რომლებიც გამოუშვებენ ელექტროდებს, რეზინის, პლასტიკური მასის, ხის ყველაზე მასობრივ დეტალებს, სამაგრ და სხვა ნაკეთობას მოცემული რაიონის სამრეწველო საწარმოების მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

9. აშენდეს სულ მცირე 15 სპეციალიზებული ხე-ტყის სახერხ-ხისდამამუშავებელი საწარმო 4,5 მილიონი კუბური მეტრის დახერხილი მასალის საერთო სიმძლავრით, რომლებიც გამოუშვებენ ნამზადს ავტომობილმშენებლობისათვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და ვაგონმშენებლობისათვის, აგრეთვე ნამზადს და დეტალებს ავეჯის საწარმოებისათვის.

10. საჭიროდ ჩაითვალოს მრეწველობაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების პერსპექტიული გეგმის დამუშავება ქვეყნის ეკონომიური რაიონებისა და მსხვილი სამრეწველო ცენტრების მიხედვით.

IV. სოფლის მეურნეობა

1. უზრუნველყოფილ იქნას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობა. აყვანილ იქნას 1960 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი 180 მილიონ ტონამდე (11 მილიარდ ფუთამდე). გადიდდეს ხუთწლედის განმავლობაში ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის პროდუქცია და მეცხოველეობის პროდუქცია შემდეგი ოდენობით:

	1960 წელი პროცენტობით 1955 წელთან შედარებით
ნედლი ბამბა	156
სელის ბოჭკო	135
შაქრის ჭარხალი	154
კარტოფილი	185
ბოსტნეული	218
ხორცი	200
რძე	195
კვერცხი	254
მატყლი	182

2. სისტემატურად ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძოლის კულტურა აგრონომიული მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენების საფუძველზე, დაინერგოს ის კულტურები და მცენარეთა ჯიშები, აგრეთვე პირუტყვის ის სახეობანი და ჯიშები, რომლებიც ყველაზე პროდუქტიულია ადგილობრივ პირობებში; განხორციელდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების სწორი შეხამება.

უზრუნველყოფილ იქნას სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეწონილი განლაგება სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებისა და მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სპეციალიზაცია ქვეყნის რაიონებში თვითეული რაიონის, ხოლო რაიონში — თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ბუნების და ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით, ამასთან მიზნად იქნას დასახული 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე პროდუქციის გამოსავლის მკვეთრად გადიდება შრომისა და სახსრების მინიმალური ხარჯვით.

3. ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგროტექნიკა, ფართოდ გამოყენებულ იქნას კვადრატული და კვადრატულ-ბუდობრივი ხერხები ბამბის, მზესუმზირას, სიმინდის და სხვა იმ კულტურების თესვისა, რომლებიც მწკრივთა შორის დამუშავებას საჭიროებენ; დაინერგოს სათოხნი კულტურების მოყვანისა და მოსავლის აღების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. ლიკვიდირებულ იქნას მეთესლეობის ჩამორჩენა, მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უფრო მოსავლიანი, მაღალპროდუქტიული ჯიშების, ბამბის მაღალმოსავლიანი ჯიშების, შაქრის ჭარხლის გადიდებული შაქრიანობის მქონე ჯიშების, მზესუმზირას მაღალზეთოვანი და საადრეო ჯიშების დაჩქარებული გამოყვანა და წარმოებაში დანერგვა.

გაუმჯობესდეს მინერალური სასუქების, აგრეთვე ადგილობრივი სასუქების: ნაკელის, ტორფის, კომპოსტების, ნაცრის გამოყენება. გაფართოვდეს სოფლის მეურნეობისათვის ტორფის სამრეწველო მოპოვება. მნიშვნელოვნად გადიდდეს ბაქტერიული სასუქების წარმოება, უზრუნველყოფილ იქნას თხევადი აზოტოვანი სასუქების წარმოება. მოეწყოს კირის სამრეწველო წარმოება იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

4. **მარცვლეული მეურნეობის** შემდგომი აღმავლობის მიზნით აყვანილ იქნას 1956 წელს ნათესები ყამირ და ნასვენ მიწებზე სულ მცირე 30 მილიონ ჰექტარამდე და გაგრძელდეს იმ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, რომლებიც დიდ კაპიტალურ დაბანდებებს არ მოითხოვენ და რომლებზეც შეიძლება მიღებულ იქნას კარგი, მყარი მოსავალი ციმბირის, ურალის, შორეული აღმოსავლეთის, ვოლგისპირეთის, ყაზახეთის, არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში. მნიშვნელოვნად გადიდდეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა და უახლოეს წლებში ყველგან განხორციელდეს გადასვლა მარცვლეული კულტურების დარაიონებული, ყველაზე მოსავლიანი და მარცვლის ხარისხით ძვირფასი ჯიშების თესლის თესვაზე. დაინერგოს სიმინდი, როგორც ყველაზე მოსავლიანი კულტურა, და აყვანილ იქნას 1960 წელს სიმინდის ნათესი ფართობები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სულ მცირე 28 მილიონ ჰექტარამდე. ფართო მასშტაბით მოეწყოს სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოება პირველ რიგში საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე სასელექციო სადგურებსა და კოლმეურნეობებში.

მკვეთრად შემცირდეს მარცვლეულის დანაკარგები მოსავლის აღებისა და შენახვის დროს; მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება მთავრდებოდეს სულ ბევრი 10 სამუშაო დღეში ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილში და 7-8 სამუშაო დღეში — ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში.

მოსავლის აღებისას დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მარცვლეული კულტურების მოსავლის ცალცალკე აღების წესის ფართოდ დანერგვას.

5. უზრუნველყოფილ იქნას ბამბის მოსავლიანობის შემდგომი გადიდება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსავლიანობის გადიდებას მებამბეობის ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში, აგრეთვე სარწყავ მიწებზე ბამბის ნათესების გაფართოებას როგორც სარწყავი ქსელის მქონე გამოუყენებელი მიწების ათვისების გზით, ისე ახლად მორწყული მიწების გამოყენების გზით.

მნიშვნელოვნად გადიდდეს სელის მოსავლიანობა და გაფართოვდეს მისი ნათესები, გადიდდეს სელისა და კანაფის პროდუქციის საქონლიანობა და მკვეთრად გაუმჯობესდეს მისი ხარისხი (ნომრიანობა), ლიკვიდირებულ იქნას დანაკარგები და განხორციელდეს უფრო ფართო მასშტაბებით გადასვლა სელისა და კანაფის ღეროს მომზადების სამრეწველო წესზე.

გადიდდეს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა და გაფართოვდეს მისი ნათესები მისი მოყვანის ძირითად რაიონებში, და უწინარეს ყოვლისა უკრაინის სს რესპუბლიკაში, აგრეთვე რსფს რესპუბლიკის, ბელორუსიის, ლიტვისა და ლატვიის სს რესპუბლიკების მეჭარხლეობის განვითარების რაიონებში, რომლებსაც შაქრის ჭარხლის მოყვანისათვის ხელსაყრელი პირობები აქვთ.

6. რძის პროდუქტებსა და ბოსტნეულზე ქალაქის მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით გაფართოვდეს მერძევეობა-მებოსტნეობის არსებული ზონები და შეიქმნას ახალი ასეთი ზონები დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო. მოეწყოს ამ ზონებში ახალი საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე აუცილებელ შემთხვევებში არსებულ საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობებს მიეცეს სპეციალიზაცია რძის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებისათვის. გაფართოვდეს სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობა, მათთვის ფართოდ იქნას გამოყენებული სამრეწველო საწარმოთა და ელექტროსადგურთა თბონარჩენები. გადიდდეს საგარეუბნო ზონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საადრეო ჯიშების კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება.

7. მეექვსე ხუთწლედში ხილის, კენკრისა და ყურძნის მოყვანა გადიდდეს სულ მცირე 1,5—2-ჯერ მეხუთე ხუთწლედთან შედარებით. გაფართოვდეს ხეხილისა და ვაზის სანერგეთა ქსელი და უზრუნველყოფილ იქნას მათში ხეხილისა და ვაზის სარგავი მასალის საუკეთესო ჯიშების მნიშვნელოვანი ოდენობით გამოყვანა. ყოველი ღონისძიებით განვითარდეს მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობა და კოლმეურნეთა მებაღეობა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

8. მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მეაბრეშუმეობა, განსაკუთრებით უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უკრაინის, მოლდავეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებში. აყვანილ იქნას 1960 წელს თუთის აბრეშუმის პარკის წარმოება 38 ათას ტონამდე.

9. ყოველი ღონისძიებით განვითარდეს კოლმეურნეობების **საზოგადოებრივი მეცხოველეობა,** აგრეთვე მეცხოველეობა საბჭოთა მეურნეობებში. გადიდდეს ხორცის წარმოება უწინარეს ყოვლისა მეღორეობის, როგორც ყველაზე მალმწიფებადი მეცხოველეობის დარგის, განვითარების გზით; აყვანილ იქნას ღორის ხორცის ხვედრითი წონა ჩვენს ქვეყანაში ხორცის წარმოების საერთო მოცულობის 50 პროცენტამდე, რისთვისაც გამოყენებულ იქნას ღორების სახორცედ და საბეკონედ გასუქების უპირატესობანი.

განვითარდეს სახორცე მესაქონლეობა ყაზახეთის, ციმბირის, ქვემო ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიის შორეული ველის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში, რომლებსაც ბუნებრივი საკვები ბაზა აქვთ. მოეწყოს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ზრდის დამთავრება და საძოვრებზე გასუქება ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ მეურნეობებში. გადიდდეს რძის წარმოება, უწინარეს ყოვლისა წველადობის მნიშვნელოვანი გადიდებით საშუალოდ ერთ ძროხაზე, აგრეთვე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო ჯოგში ძროხის სულადობის ხვედრითი წონის გადიდებით.

რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს, რომლებსაც განვითარებული მარცვლეულის მეურნეობა აქვთ, გააფართოონ მეფრინველეობის არსებული ფერმები და შექმნან მეფრინველეობის ახალი დიდი ფერმები, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ბევრია წყალსატევები, გაადიდონ წყალმცურავი ფრინველის სულადობა.

უზრუნველყოფილ იქნას ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის შემდგომი განვითარება რსფსრ და უკრაინის სსრ მეცხვარეობის ძველ რაიონებში, აგრეთვე ყოველი ღონისძიებით განვითარდეს ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობა აღმოსავლეთ ციმბირის, ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ რაიონებში. უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარების შესაძლებლობანი უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკებში. გადიდდეს სახორცე-სამატყლე მეცხვარეობა ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში, საკრაველე, სტაყანუჭე-საქურქე და სახორცე-საქონე მეცხვარეობა მისი გავრცელების რაიონებში. გადიდდეს მატყლის საშუალო ნაპარსი ერთ ცხვარზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სულ მცირე 27 პროცენტით.

10. მკვეთრად გადიდდეს **საკვების წარმოება** კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რათა მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას ყველა სახის პირუტყვი და ფრინველი საჭირო საკვებით, აგრეთვე კოლმეურნეობების მიერ საკვების გამოყოფა კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვისათვის და საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

განვითარდეს ბალახების თესვა იმ რაიონებში, სადაც მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახები კარგ მოსავალს იძლევა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამყურის ნათესების გაფართოებასა და მისი მოსავლიანობის გადიდებას არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში და იონჯისას — შუა აზიის რაიონებში, ყაზახეთის სამხრეთ რაიონებში და ამიერკავკასიაში.

შეიქმნას ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებში, აგრეთვე რსფსრ ჩრდილოეთ-დასავლეთ რაიონებში მრავალწლიანი ნათესი სათიბები და საძოვრები. ფართო მასშტაბებით განხორციელდეს სამუშაოები ბუნებრივი მდელოებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლად. უზრუნველყოფილ იქნას კომბინირებული საკვების მრეწველობის განვითარება, ამასთან სამოთხჯერ გადიდდეს კომბინირებული საკვების წარმოება.

11. ხუთწლედის განმავლობაში სარწყავი მიწების ფართობი გადიდდეს დაახლოებით 2,1 მილიონი ჰექტარით, აქედან 800 ათასი ჰექტარით სარწყავი სისტემების გადაკეთებისა და სარწყავი ქსელის მქონე გამოუყენებელი მიწების წყლით უზრუნველყოფის გზით და 1,3 მილიონი ჰექტარით ახლად მორწყული მიწების გამოყენების გზით.

ხუთწლედის განმავლობაში ათვისებულ იქნას 3,1 მილიონი ჰექტარი დაშრობილი მიწები, აქედან 2 მილიონი ჰექტარი საშრობი ქსელის გადაკეთებისა და აღდგენის გზით და 1,1 მილიონი ჰექტარი მიწების ახლად დაშრობის გზით.

უწყლო რაიონებში განხორციელდეს სამუშაოები საძოვრების გასაწყლოვანებლად დაახლოებით 80 მილიონ ჰექტარ ფართობზე, რისთვისაც გაჩაღდეს გასაწყლოვანებელ სისტემათა და ნაგებობათა მშენებლობა, აგრეთვე სამეცხოველეო და საბინაო სათავსებინ მშენებლობა.

ბამბის წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი გადიდების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ჩვენს ქვეყანაში მოკლე ვადაში შეიქმნას მებამბეობის უდიდესი რაიონი, რისთვისაც განხორციელდეს საჭირო სამუშაოები გოლოდნაია სტეპში ნოყიერი ყამირი მიწების მოსარწყავად და ასათვისებლად.

12. მნიშვნელოვნად ამაღლდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. 1956-1960 წლებში სოფლის მეურნეობას მიეცეს დაახლოებით 1.650 ათასი ტრაქტორი, 15-ძალიანზე გადაყვანით, მათ შორის 680 ათასი სათოხნი ტრაქტორი (ფიზიკური გაანგარიშებით), 560 ათასი მარცვლეულის კომბაინი, ხოლო მარცვლეული კულტურების ცალცალკე ასაღებად 180 ათასი სამკალი (ვინდროუერი) და კომბაინისათვის 400 ათასი შემგროვებელი, აგრეთვე სიმინდის მოსავლის ასაღები და სილოსის ასაღები 250 ათასი კომბაინი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფართოდ დაინერგოს ყველაზე ეკონომიური დიზელიანი ტრაქტორები და უახლესი კონსტრუქციების კომბაინები, პნევმატიკურ-შინებიანი, თვლიანი ტრაქტორები, საკიდი და ნახევრადსაკიდი სასოფლო-სამეურნეო მანქანები მართვის ჰიდრავლიკური სისტემით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობაში მარცვლეული და ტექნიკური სათოხნი კულტურების მოყვანის სამუშაოთა, აგრეთვე ბაღებისა და ბოსტნების სამუშაოთა მექანიზაცია.

უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენება, რისთვისაც სახელმწიფო ელექტროსადგურების ქსელებთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეერთებასთან ერთად მოეწყოს სარაიონთაშორისო და რაიონული თბოელექტროსადგურებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წილობრივი მონაწილეობით. ხუთწლედის განმავლობაში გაორკეცდეს რიცხვი ელექტროფიცირებული კოლმეურნეობებისა, რომლებიც ელექტროენერგიას მუდმივი წყაროებიდან იღებენ, და დამთავრდეს საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ელექტროფიკაცია.

გაუმჯობესდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკის გამოყენება და ხუთწლედის განმავლობაში სულ მცირე 30-35 პროცენტით გადიდდეს დღიური გამომუშავება ტრაქტორზე და მარცვლეულის კომბაინზე.

ამაღლდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარებასა და კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში. გადიდდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებისათვის, მემცენარეობასა და მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. უზრუნველყოფილ იქნას მტს-ების მუდმივი მუშების სრული გამოყენება მთელი წლის განმავლობაში მექანიზატორთა პროფესიების ფართოდ შეთავსებისა და კოლმეურნეობებისადმი საწარმოო დახმარების გაფართოების გზით.

დაცულ იქნას მტს-ებში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი, მიღწეულ იქნას სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება დაახლოებით 16 პროცენტით და მნიშვნელოვნად შემცირდეს სახელმწიფოს დანახარჯები მტს-ების სამუშაოთა ნატურალური ანაზღაურების წესით მიღებულ ცენტნერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. 1956 წლიდან დაიწყოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე.

13. უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, შრომის ნაყოფიერების გადიდება მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანერგვის, მუშახელის რაც შეიძლება უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენების, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის ანაზღაურების მოწესრიგების საფუძველზე. ფართოდ იქნას გამოყენებული კოლმეურნეთა ყოველთვიური ავანსირება, როგორც კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდმნიშვნელოვანი სტიმული. გაგრძელდეს მუშაობა კოლმეურნეობების განსამტკიცებლად ხელმძღვანელი კადრებით, გაუმჯობესდეს მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების ხარისხი.

14. უზრუნველყოფილ იქნას მეექვსე ხუთწლედში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი განვითარება საბჭოთა მეურნეობებში და აყვანილ იქნას 1960 წელს საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის 915 მილიონამდე ფუთი მარცვლეულის, 1,5 მილიონამდე ტონა ხორცის, 6,8 მილიონამდე ტონა რძის, 79,2 ათასამდე ტონა მატყლისა და 2 მილიარდამდე ცალი კვერცხის ჩაბარება.

საბჭოთა მეურნეობების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების და საბჭოთა მეურნეობებისათვის მიმაგრებული მიწის სავარგულების უფრო რაციონალურად გამოყენების გზით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის, მიწის და წარმოების ყველა საშუალების რაციონალური გამოყენების, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას თვითეული საბჭოთა მეურნეობის მაღალშემოსავლიანი მუშაობა.

15. სატყეო მეურნეობის დარგში ხუთწლედის განმავლობაში განხორციელდეს ტყის მოწყობის სამუშაოები 190 მილიონ ჰექტარ ფართობზე, გაშენდეს 3 მილიონამდე ჰექტარი ტყეები სამეურნეო თვალსაზრისით ძვირფასი და მალმზარდი ხის ჯიშებით; განხორციელდეს სამუშაოები ტყის ბუნებრივი განახლების ხელშესაწყობად 3,8 მილიონამდე ჰექტარ ფართობზე; გაშენდეს სულ მცირე 370 ათასი ჰექტარი საცავი ტყის ნარგავები ხევებში და ქვიშებზე. აგრეთვე შეიქმნას 560 ათასი ჰექტარი მინდორსაცავი ტყის ზოლები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებზე.

16. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების საკითხების დამუშავება და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთი საკითხების დამუშავებას, როგორიც არის სოფლის მეურნეობის სწორი გაძღოლა, რაციონალური თესლბრუნვის დანერგვა ნიადაგისა და ჰავის თვითეული ზონის შეფარდებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორად განლაგება, ნიადაგების წარმოქმნის სისტემის გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექციისა და მეთესლეობის გაუმჯობესება, სასუქების ხმარების ყველაზე ეფექტიანი ხერხების გამოყენება, მეცხოველეობაში საჯიშე მუშაობის გაუმჯობესება, აგრეთვე კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის საკითხების დამუშავება.

V. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ტრანსპორტის დარგში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანეს ამოცანებად მიჩნეულ იქნას რკინიგზის, წყლის, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლება, რკინიგზების ფართო ელექტროფიკაცია და ტრანსპორტის აღჭურვა თანამედროვე, ყველაზე პროგრესული ლოკომოტივებით, გემებით, ავტომობილებით, თვითმფრინავებით და სხვა სახეობის მოძრავი შემადგენლობით.

დაწესდეს 1956-1960 წლებისათვის შემდეგი ძირითადი დავალებები ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში:

1. **რკინიგზის ტრანსპორტის** დარგში გადიდდეს რკინიგზების ტვირთბრუნვა დაახლოებით 1.374 მილიარდი ტონა-კილომეტრით, ანუ 42 პროცენტით 1955 წელთან შედარებით. უზრუნველყოფილ იქნას რკინიგზებით ტვირთების გადაზიდვის სიშორის ყოველი ღონისძიებით შემცირება და გაიაფება.

განხორციელდეს ლიანდაგის მეურნეობის გაძლიერებისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებანი. რკინიგზების მოქმედ ქსელში დაიგოს დაახლოებით 65 ათასი კილომეტრი ახალი რელსები, აქედან 58 ათასი კილომეტრი მძიმე ტიპების რელსები. ხუთწლედის დამლევისათვის ღორღზე დაგებული ლიანდაგების სიგრძე აყვანილ იქნას 61 ათას კილომეტრამდე. განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი შპალების სამსახურის ვადის გასაგრძელებლად და უზრუნველყოფილ იქნას რკინაბეტონის შპალების ფართოდ დანერგვა.

რკინიგზების გამტარუნარიანობის გადიდების მიზნით განხორციელდეს რკინიგზის ტრანსპორტზე წევის ტექნიკური რეკონსტრუქციის სამუშაოები ელექტრომავლებისა და თბომავლების ფართოდ დანერგვის გზით, რათა უკვე 1960 წელს მათ შეასრულონ მთელი ტვირთბრუნვის 40-45 პროცენტი. ხუთწლედის განმავლობაში მიეცეს რკინიგზის ტრანსპორტს სულ ცოტა 2.000 ელექტრომავალი, აქედან 400 რვაღერძიანი ელექტრომავალი თვითეული 5.700 ცხენის ძალის სიმძლავრისა, აგრეთვე 2.250 სამგისტრალო ორსექციიანი თბომავალი.

უზრუნველყოფილ იქნას ახალი მძლავრი ლოკომოტივების შექმნა, 1956-1957 წლებში დაპროექტდეს და დამზადდეს ერთ სექციაში 2.500-3.000 ცხენის ძალის სიმძლავრის სატვირთო თბომავლების საცდელი ნიმუშები, სამგზავრო თბომავლები და ელექტრომავლები, აგრეთვე გაზტურბინმავლები.

შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებანი გოგირდოვანი დიზელის სათბობით თბომავლების ექსპლოატაციისათვის. შეიქმნას ბაზა ელექტრომავლებისა და თბომავლების რემონტისათვის.

მიეცეს რკინიგზის ტრანსპორტს ხუთწლედში სულ მცირე 255 ათასი სატვირთო ვაგონი, აგრეთვე 18,6 ათასი სამგზავრო ვაგონი. შეივსოს პარკი გადიდებული მოცულობის ძირიანი დახურული ვაგონებით, მექანიკური გაცივებისა და ელექტროგათბობის იზოთერმული ვაგონებით, გადიდებული ტევადობის ცისტერნებით, აგრეთვე ჰაერის კონდიციონირების მთლიანლითონის სამგზავრო ვაგონებით.

დამთავრდეს 1957 წელს სატვირთო ვაგონების პარკის გადაყვანა ავტომატურ გადაბმაზე. 1959 წლისათვის დამთავრდეს რკინიგზების პარკში არსებული უმუხრუჭო ვაგონების აღჭურვა ავტომუხრუჭებით და დაიწყოს ვაგონების საექსპლოატაციო პარკის აღჭურვა უფრო სრულყოფილი ავტომატური მუხრუჭებით.

განხორციელდეს საჭირო სამუშაოები რკინიგზების გამტარუნარიანობის მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, განსაკუთრებით ურალისა და ციმბირის მიმართულებებით, ურალიდან ვოლგისპირეთის, ცენტრისა და აღმოსავლეთის გასასვლელ რაიონებში, ამასთან დონბასის, კავკასიისა და შუა აზიის რაიონებთან ცენტრის რკინიგზით დაკავშირებისათვის, აგრეთვე დონბასის რკინიგზების განვითარებისათვის.

აშენდეს დაახლოებით 6.500 კილომეტრი ახალი რკინიგზები, ანუ 2,1-ჯერ მეტი, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში. გარდა ამისა, აშენდეს 935 კილომეტრი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში. აშენდეს ალმა-ატა — გოსგრანიცის რაიონის რკინიგზა, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის კავშირს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ახალი მიმართულებით.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ღ ი უ რ

23 თებერვლის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე, რომელიც ამხ. **ზ. რ. რახიმბაბაევას** თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, კამათში პირველი გამოვიდა ამხ. **ვ. ა. კუჩერენკო.** მეექვსე ხუთწლედში კაპიტალური მშენებლობის გრანდიოზული მოცულობა, თქვა მან, დიდ ამოცანებს აყენებს სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკთა წინაშე. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, მისი ხარისხის გაუმჯობესება და ღირებულების შემცირება. იბრძოდნენ რა ამ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, მშენებლებმა ერთგვარი წარმატებანი მოიპოვეს. ფართოვდება ასაწყობი რკინაბეტონის საწარმოთა ქსელი, რამდენადმე გაუმჯობესდა საპროექტო ორგანიზაციების მუშაობა. მაგრამ მშენებელთა მუშაობის დადებითი მომენტები იმის საფუძველს არ გვაძლევენ, რომ დავჯერდეთ მიღწეულს და მით უმეტეს არ დავინახოთ არსებული ნაკლოვანებანი.

ამხ. კუჩერენკო დაწვრილებით ეხება ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის საქმის შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი, კერძოდ, აღნიშნავს, რომ მშენებელთა შრომის ნაყოფიერება მეექვსე ხუთწლედის დამლევისთვის უნდა გადიდდეს სულ ცოტა 52 პროცენტით.

ამხ. კუჩერენკომ დიდი ყურადღება მიაქცია საქალაქო მშენებლობის საკითხებს.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ვ. ვ. მაცკევიჩს.** ცენტრალური კომიტეტი, მთელი პარტია, თქვა მან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას. ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის თესვისა და აღების ვადების შემცირებას, პურის ცალცალკე აღების გამოყენებას, ჯიშიანი თესლის თესვას. მრეწველობის მუშაკებმა მკვეთრად უნდა გაადიდონ შემგროვებლიანი კომბაინების, სამკელი მანქანების (ვინდროუერების) გამოშვება, აგრეთვე გაადიდონ სოფლის მეურნეობის მომარაგება სატრანსპორტო საშუალებებით.

ეხება რა სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაობას, ამხ. მაცკევიჩი ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მტს-ებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები უნდა დაეუფლონ ეკონომიურ ცოდნას. ორატორმა თქვა, რომ ახლა თვითეულ ოლქში იქმნება კომპლექსური საცდელი სასოფლო-სამეურნეო სადგურები ან ინსტიტუტები, რომლებსაც ეკისრებათ მეცნიერულ-პრაქტიკულად დაამუშაონ ოლქის სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ყველაზე აქტუალური საკითხები.

ამხ. **ა. გ. შერემეტიევმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა შავი მეტალურგიის განვითარების საკითხებს. ჩვენი მეტალურგია, თქვა მან, ისეთი ტემპებით ვითარდება, როგორიც უცნობია მსოფლიო ისტორიისათვის. უკანასკნელ 26 წელიწადში ფოლადის წარმოების საშუალო წლიურმა მატებამ ჩვენს ქვეყანაში შეადგინა 9 პროცენტი, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში — სულ 2,4 პროცენტი, ინგლისში — 2,8 პროცენტი, საფრანგეთში — 1 პროცენტი. და მაინც ჩვენი ქვეყნის საბჭოთა ხალხი მეურნეობის მოთხოვნილებალითონზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

იმ დიდი ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც მეტალურგების წინაშე დასახულია მეექვსე ხუთწლედში, საჭიროა, აღნიშნავს ორატორი, სერიოზულად გავაუმჯობესოთ მოქმედი აგრეგატების გამოყენება, გავამრავლოთ ახალი სიმძლავრეები, მნიშვნელოვნად გავადიდოთ კაპიტალური მშენებლობის მოცულობა.

შემდეგ ამხ. შერემეტიევი ეხება ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება დასახა შავი მეტალურგიის სამინისტრომ საბრძმედე წარმოების გასაუმჯობესებლად, ხარისხოვანი ფოლადების გამოდნობის, ნაგლინის წარმოების გასაფართოებლად. საბჭოთა კავშირის მეტალურგები, განაცხადა დასასრულ ამხ. შერემეტიევმა, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით შეასრულონ ახალი ხუთწლიანი გეგმა.

თავმჯდომარე აცხადებს: — ჩვენი ყრილობის მისასალმებლად მოვიდნენ ნორჩი პიონერები.

დელეგატები და სტუმრები ფეხზე დგებიან, მქუხარე ტაშით ეგებებიან ჩვენი ქვეყნის მომავალს, მის იმედს.

პროზად და ლექსად დაწერილ მისალმების ტექსტს კითხულობს რამდენიმე გოგონა და ბიჭი. მისალმება გამსჭვალულია მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო და უშუალო სიყვარულით.

პიონერები ამბობენ, რომ ყოველ მათგანს აქვს თავისი სანუკვარი ოცნება: ზოგს სურს ჩარხებთან დადგეს, ზოგს სურს ყამირ მიწებზე გაემგზავროს, ზოგი გახდება მეშახტე, აგრონომი, მშენებელი, ბევრს კი, განსაკუთრებით ვაჟებს, სურთ გახდნენ მფრინავები, მეზღვაურები. ყოველი ჩვენგანი, აცხადებენ ბავშვები, შეძლებს განახორციელოს თავისი ოცნება.

დასასრულ გაისმის მოწოდება: — ნორჩო პიონერებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოველად იყავით მზად!

სალუტს აძლევს ასობით ბავშვი, და წკრიალა ხმები ერთსულოვნად უპასუხებენ:

— მუდამ მზად ვართ!

ბიჭებისა და გოგონების ჯგუფი გაეშურა პრეზიდიუმისაკენ, ბავშვებმა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, აგრეთვე უცხოეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებს მიართვეს ცოცხალ ყვავილთა თაიგულები.

ყრილობის დელეგატები გულთბილად აციალებენ პიონერებს, რომლებიც ტოვებენ დარბაზს.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. **ი. ა. კაიროვს.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეექვსე ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა კულტურის დარგში ის არის, რომ ყველგან განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება. ფასდაუდებელია, აცხადებს ორატორი, ამ ამოცანის მთელი მნიშვნელობა. მისი განხორციელება უდიდესი წვლილი იქნება საბჭოთა ქვეყანაში სოციალისტური კულტურის განვითარების საქმეში.

ამხ. კაიროვმა ილაპარაკა რესპუბლიკაში სკოლების ქსელის გაშლის გეგმაზე. მეექვსე ხუთწლედში რუსეთის სფს რესპუბლიკაში აშენდება 7 ათასამდე სკოლა 2,5 მილიონი მოსწავლისათვის.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ მომძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებს.

ამხ. **რ. არისმენდიმ,** რომელმაც ურუგვაის კომპარტიის სალამი გადასცა ყრილობას, თქვა:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვა მან კომუნიზმის მშენებლობის და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს განვითარებაში, უდიდესი სტიმულია ჩვენი ხალხის ბრძოლაში თავისი ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის.

ჩვენს პარტიას, განაცხადა შემდეგ ამხ. არისმენდიმ, თავის მიზნად მიაჩნია გააერთიანოს თავისი ქვეყნის მთელი პატრიოტული ძალები ეროვნული განთავისუფლების ერთიან დემოკრატიულ ფრონტად, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი - გლეხობასთან კავშირში. მოქმედების ერთიანობა მოიცავს პროლეტარიატის უკვე ფართო ფენებს: იზრდება და მტკიცდება გლეხთა და მოჯამაგირეთა დამოუკიდებელი ორგანიზაცია. აფართოებენ თავიანთ საქმიანობას ინტელიგენციის პატრიოტული ფენები.

ამხანაგ ბულგანინის განცხადებას, რომ სსრ კავშირი მზად არის ტექნიკური დახმარება გაუწიოს და ვაჭრობა განავითაროს ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, ჩვენში კეთილმოსურნეობით გამოეხმაურნენ. ჩვენს ქვეყანაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა აგრეთვე ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობამ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში.

ისრაელის კომპარტიის წარმომადგენელმა ამხ. **ს. მიკუნისმა** განაცხადა:

ჩვენ სულით და გულით მივესალმებით დიდი საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის უდიდეს წარმატებებს, რომლებიც მოიპოვა მან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ნაკადი და ბრძნული ხელმძღვანელობით კომუნიზმის მშენებლობაში და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. ისრაელის ხალხის მსგავსი ოცნებანი არიან საბჭოთა კავშირისადმი მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობით იმის გამო, რომ იგი თანმიმდევრულად ახორციელებს ხალხთა მშვიდობის დაცვისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკას.

შვეიცარიის შრომის პარტიის სახელით სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ე. ვოოგმა.** მან თქვა, რომ შვეიცარიის მშრომელებს საბჭოთა კავშირი მიაჩნიათ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მედროშედ.

ჩვენი პარტია, განაგრძო შემდეგ ამხ. ვოოგმა, უკვე დიდი ხანია იბრძვის ნამდვილი სახელმწიფოებრივი ნეიტრალიტეტის შენარჩუნებისათვის, რეაქციული წრეების იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ჩააბან შვეიცარია დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკებში. ნამდვილი სახელმწიფოებრივი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება არა მარტო წვლილია მშვიდობის საქმეში, არამედ შვეიცარიის ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობაც არის.

საღამოს სხდომაზე გამოქვეყნდა აგრეთვე პორტუგალიის, მალაიისა და ვენესუელის კომპარტიების წერილობითი მისალმებანი ყრილობისადმი.

(საკდესი).

24 თებერვლის დილის სხდომა

დილის სხდომაზე, რომელიც ამხ. **მ. გ. პერვუხინის** თავმჯდომარეობით გაიხსნა, გრძელდებოდა კამათი მეექვსე ხუთწლიანი გეგმის თაობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების შესახებ ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო.

პირველი გამოვიდა ამხ. **ს. გ. რაგიმოვი** (აზერბაიჯანის პარტორგანიზაცია). მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტში, რომელიც წარმოდგენილია პარტიის XX ყრილობის დასამტკიცებლად, და ამხანაგ ბულგანინის მოხსენებაში, თქვა ორატორმა, მკაფიოდ გამოხატულია ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელის სასიცოცხლო ინტერესები.

ამხ. რაგიმოვს მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ აზერბაიჯანის სსრ წარმატებებს.

მეექვსე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა შემდგომ განვითარდება. აღმოჩენილია ნავთობის ახალი საბადოები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ წარმატებით შევასრულოთ ნავთობის ამოღების გეგმა, გათვალისწინებული დირექტივების პროექტით. დაიწყება დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე მტკვარზე, მსუბუქი და კვების მრეწველობის დიდი საწარმოების მშენებლობა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაძლებლობა აქვთ ვადამდე შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის დავალებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დარგში.

სიტყვა ეძლევა ამხ. **მ. დ. კოვრიგინას.** დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მისი ბედნიერებისა და ჯანმრთელობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა თავრობის უპირველესი მოვალეობაა, ამბობს იგი. ახალი ხუთწლიანი გეგმის ყველა ნაწილმა პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენა უნდა მოახდინოს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მათი შრომისუნარიანობის გადიდებასა და სიცოცხლის გახანგრძლივებაზე. პარტიის XX ყრილობის დირექტივებში დასახული ამოცანების შესრულება საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავაფართოოთ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი და მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

შემდეგ ამხ. კოვრიგინა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი სამედიცინო კადრებით უკეთ არის უზრუნველყოფილი, ვიდრე მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი.

აკადემიკოსმა **ტ. დ. ლისენკომ** თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც პარტიამ მეექვსე ხუთწლედში დასახა მიწათმოქმედების დარგში, დიდი როლი უნდა შეასრულოს ბიოლოგიურმა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებამ.

ამხ. ლისენკო ლაპარაკობს მიჩურინული ბიოლოგიის მიღწევებზე, რაც იმის შედეგია, რომ მას მჭიდრო კავშირი აქვს პრაქტიკასთან. შემდეგ ორატორი ეხება მიწათმოქმედების ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხს. აღნიშნავს რა, რომ დირექტივების პროექტში დასახულია მინერალური სასუქების წარმოების მკვეთრად გადიდება, ამხ. ლისენკო ლაპარაკობს მინერალური და ადგილობრივი სასუქების რაციონალური გამოყენების ამოცანაზე მეცნიერებისა და პრაქტიკის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით.

ამხ. ლისენკომ თავის სიტყვაში დიდი ადგილი დაუთმო სიმინდის ჰიბრიდული თესლის მოყვანისა და მეცხოველეობაში ჰიბრიდიზაციის პრინციპის ფართოდ გამოყენების საკითხებს. დასასრულ მან თქვა:

— ნება მიბოძეთ სულით და გულით გამოვთქვა მადლობა იმისათვის, რომ მე, უპარტიო მეცნიერი, მომიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე. დიდად ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა დიდი პარტიული სკოლა გამევლო ყრილობაზე, რომელიც მოასწავებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

ამხ. **გ. ს. ხლამოვი** ამბობს, რომ მეექვსე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განვითარდება სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. ტრაქტორების გამოშვება 1960 წელს 1955 წელთან შედარებით გადიდდება ერთიორად, მარცვლეულის კომბაინებისა — სამჯერ. შეიქმნება ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

ამხ. ხლამოვი ლაპარაკობს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ კომისიამ, რომელიც ყრილობამ დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლუციის მოსამზადებლად, დაამთავრა თავისი მუშაობა, და კენჭს უყრის რეზოლუციის პროექტს.

ყრილობა ერთხმად იღებს რეზოლუციას.

შემდეგ ყრილობა ამტკიცებს რეზოლუციას პარტიის წესდებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ, რის შემდეგ გრძელდება ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების განხილვა.

სიტყვას ამბობს ამხ. **ს. კამალოვი** (უზბეკეთის პარტორგანიზაცია). იგი აღნიშნავს, რომ უზბეკი ხალხის ეკონომიკა და კულტურა ვითარდება ისეთი ტემპებით, როგორიც შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების პირობებში. მეხუთე ხუთწლედში უზბეკეთის მრეწველობამ პროდუქციის გამოშვება გაადიდა 62 პროცენტით წინა ხუთწლედთან შედარებით. მწყობრში ჩადგა ათობით ახალი საწარმო, გაფართოვდა ბევრი ქარხანა და ფაბრიკა. გარკვეული წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სახალხო მეურნეობის ზრდასთან ერთად რესპუბლიკაში მიმდინარეობდა უზბეკი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის საერთო აღმავლობა.

ამხ. **ი. ა. ბენედიქტოვმა** აღნიშნა, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აამაღლა საბჭოთა მეურნეობების როლი და მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში, დასახა საბჭოთა მეურნეობების წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოების პერსპექტივა.

ამჟამად, ამბობს იგი, საბჭოთა კავშირში 5 ათასზე მეტი საბჭოთა მეურნეობაა. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მათ აითვისეს 13,6 მილიონი ჰექტარი ახალი მიწები. ყამირ მიწებზე მოწყობილია 425 დიდი მეურნეობა, აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით. მეექვსე ხუთწლედში საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება აღწევს 900 მილიონ ფუთს, რძის წარმოება გადიდდება 2,8-ჯერ, ხოლო ხორცისა და მატყლის წარმოება — ერთიორად.

გამოიანგარიშა რა თავისი შესაძლებლობანი, ამბობს ამხ. ბენედიქტოვი, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შესაძლოდ მიაჩნია მეურნეობის უფრო ეკონომიური გაძღოლისა და მშენებლობის გაიაფების გზით გამონახოს სახსრები მებოსტნეობის, მეცხოველეობისა და მებამბეობის დაახლოებით 200-250 საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პროექტით გათვალისწინებული 100 საბჭოთა მეურნეობის ნაცვლად.

ტრიბუნაზეა ამხ. **პ. თ. ლომაკო.**

— იმ ამოცანების განხორციელება, რომლებიც დირექტივების პროექტით დასახულია განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის დარგში, — ამბობს იგი, — დაბეჯითებით მოითხოვს მნიშვნელოვნად გავადიდოთ ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება და გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი.

ორატორი ლაპარაკობს ფერადი მეტალურგიის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე. მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა მეექვსე ხუთწლედში 2,3-ჯერ გადიდდება მეხუთე ხუთწლედთან შედარებით.

სიტყვა ეძლევა ამხ. **მ. ა. ევსეენკოს.** ახასიათებს რა ნავთობის მრეწველობის განვითარებას, ორატორი ამბობს, რომ იგი გადაიქცა სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგად ყოველმხრივ განვითარებული წარმოებით და კვალიფიციური კადრებით.

მეექვსე ხუთწლედში ნავთობის მრეწველობის წინაშე დასახულია დიდი ამოცანები. ნავთობის ამოღებამ 1960 წელს უნდა შეადგინოს 135 მილიონი ტონა.

შემდეგ ამხ. ევსეენკო ეხება ნავთობის მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარებას. გაზის მოპოვება და წარმოება 1960 წელს მიაღწევს 40 მილიარდ კუბურ მეტრს, განსორციელდება 132 ქალაქის გაზიფიკაცია, აიგება 9 ათასი კილომეტრი გაზსადენები.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამხ. ბულგანინის მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 34 კაცმა. პრეზიდიუმში შემოვიდა წინადადება შეწყდეს კამათი. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამხ. ბულგანინი საბოლოო სიტყვაზე უარს ამბობს, რადგან კამათში გამოსული ყველა ამხანაგი ეთანხმება მისი მოხსენების ძირითად დებულებებს და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტს, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წარმოადგინა.

ამხ. **ნ. ა. მუხიტდინოვის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ლიტვისა და თურქმენეთის დელეგაციების სახელით, ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო:

1. მიღებულ იქნას საფუძვლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემოტანილი პროექტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

2. დირექტივების პროექტის შესწორებათა და დამატებათა განსახილველად არჩეულ იქნას ყრილობის კომისია.

შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა ინ კომისიის შემადგენლობა, რომელიც განიხილავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესწორებათა და დამატებათა განსახილველად არჩეულ იქნას ყრილობის კომისია.

შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა ინ კომისიის შემადგენლობა, რომელიც განიხილავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესწორებათა და დამატებათა განსახილველად არჩეულ იქნას ყრილობის კომისია.

შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა ინ კომისიის შემადგენლობა, რომელიც განიხილავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ამხ. **ე. ჰილი,** რომელიც გამოვიდა ავსტრალიის კომპარტიის სახელით, აბამბს, რომ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივამ დიდი ინტერესი გამოიწვია ავსტრალიელ ხალხში. ეს განსაკუთრებით შეეხება ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის მოგზაურობას, რომლებმაც მეგობრობისა და დახმარების ხელი გაუწოდეს ამ ქვეყნების ხალხებს. საბჭოთა კავშირისა და აზიის ქვეყნების ხალხთა გულითადი ძმური ურთიერთობა დიადი მაგალითია ავსტრალიელი ხალხისათვის. ავსტრალიის ინტერესები მოითხოვს დამყარდეს მეგობრული ურთიერთობა და დაიდოს კოლექტიური უშიშროების პაქტი აზიის და წყნარი ოკეანის რაიონების ქვეყნებს შორის, პაქტი, რომლის შესახებ წინადადება წამოაყენა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ 1955 წლის ივლისში.

ისლანდიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა ამხ. **ე. ტორბიარნარსონმა** განაცხადა:

— ისლანდიელი ხალხი დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს საბჭოთა კავშირის სწრაფ ეკონომიურ განვითარებას და სსრ კავშირის ხალხთა მზარდ კეთილდღეობას. ჩვენთვის აშკარაა, რომ ახალი გრანდიოზული ხუთწლიანი გეგმა არა მარტო უზრუნველყოფს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას, არამედ ამავე დროს ყველა სხვა ერს, მათ შორის ისლანდიელებსაც, აძლევს ახალ შესაძლებლობებს ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობისათვის.

სიტყვა ეძლევა ამხ. **მ. ენაფაას.** იგი აქვეყნებს ტუნისის კომუნისტური პარტიის მისალმებას ყრილობისადმი. ყრილობაზე გამოქვეყნდა აგრეთვე კოსტარიკის სახალხო ავანგარდის პარტიის, გვატემალის შრომის პარტიის, ბოლივიის, პარაგვაის, საბერძნეთის, ეკვადორის, ტრიესტის კომპარტიების წერილობითი მისალმებანი.

სხდომის დასასრულს თავმჯდომარეებ ამხ. **მ. გ. პერვუხინმა** თქვა:

— ჩვენ მოვისმინეთ მომძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მისალმებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი. ყრილობის სახელზე მიღებულია აგრეთვე უცხო ქვეყნების კომუნისტური, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი წერილობითი მისალმება. ბევრი მისალმება მიიღო ყრილობამ ჩვენი ქვეყნის მშრომელებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. მისალმებებში წარმატებებს მუშაობას უსურვებენ ყრილობას და შემდგომ აღმავლობასა და კეთილდღეობას საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანას — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯს.

ნება მიბოძეთ XX ყრილობის სახელით ჩვენი დიდი მადლობა ვუძღვნიმომძმე პარტიებსა და ყველა ორგანიზაციას, რომლებიც მოესალმნენ ჩვენ პარტიის ყრილობას, და ვუსურვო მათ წარმატებანი მუშაობაში.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის სახელით განგიცხადოთ თქვენ, ძვირფასო სტუმრებო, და ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მუშათა კლასის საქმე, მთელი კაცობრიობის მშვიდობისა და პროგრესის საქმე, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტები ყველაფერს გააკეთებენ, რათა პირნათლად შეასრულონ პარტიული ყრილობის მიერ დასახული ამოცანები, და არ დაიშურებენ ძალლონეს, რათა განამტკიცონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ამით სხდომა დაიხურა. (საკდესი).

საბჭოთა საქართველოს 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობით გამოწვეული უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავს ქართველი ხალხი თავისი ისტორიის ღირსშესანიშნავ თარიღს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 35-ე წლისთავს.

25 თებერვალს საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 35-ე წლისთავისადმი.

საღღესასწაულოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ წარმოების მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მინისტრები, გენერლები, საწარმოთა ნოვატორები, მეცნიერები, მწერლები.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. დ. ეპიტაშვილმა.

სიტყვა მოხსენებისათვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 35-ე წლისთავის შესახებ ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. გ. ი. ფადაგიძეს. იგი ამბობს, რომ რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს სსრ 35-ე წლისთავს ხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი.

ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად, — ამბობს მომხსენებელი, — საქართველოს მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი ისინი მზად არიან თავდადებით იბრძოლონ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყველა დავალების განხორციელებისათვის.

საზეიმო სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

უე 00651 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.